№ 2833
ოთხშაბათი,
1 ივნისი

ცნობის ფურცელი

№ 2833
ოთხშაბათი,
1 ივნისი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, **№ 27.** განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, წინა დღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 37.**

ივნისის 12 „ბელვიუს“ ბაღში გაიმართება
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ
სეირნობა და ბაზარი
მიიღება შემოწირულება ბაზრობისთვის „საზოგადოების“ კანცელარიაში (სასახლის ქუჩა თავად-აზნაურობის ქარვასლა)

ქ. სოჩაში.

5 ივნისს 1905 წ. იქნება გამართული დიდი შარულა ცხენებისა, ველოსიპედებისა, და ქართული ლეკურის თამაშობა, აგრეთვე ბოლოს იქნება დიდი საინტერესო

ჭიდაობა,

რომლისთვისაც მიწვეულია **სოჩილებისაგან** კავკასიის უძლეველი ფალავანი **ნესტორ ესებუა,** მოსკოვიდან ჩამოყვანილ რუსის ფალავან **ბრედონ-ლიტვინოვთან.** ჯილდოს გამარჯვებული მიიღებს, 300 მან. მთელი წარმოდგენების გამგე სოჩის დეპუტატი **ამბაკო ი. ჩიტაია.** (1—241—1)

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი
მოსდის ყოველ-კვირა
ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის
შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოზის ხიდი, №№ 25—30.
ვურჩევთ

ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.

შეუვაჭრებლად. (0—39)

ახალი ბუფეტი
„არარატი“
(ავჭალის ქუჩის დასაწყისში, სადაც ავჭალის ვაგონების გზა უხვევს, კუთხის სახლი, № 38, ს. არუთინოვისა).

სუფთად და კოხტად მოწყობილ ბუფეტში მზადდება ევროპიული და აზიური საჭმელები. სანოვაგე ახალი და საუცხოვო. სადილ-ვახშამი ყველასთვის ხელ მისაწვდენი. საუკეთესო კახური ღვინოები, ცოცხალი და სხვა. სადილი ღირს: ორი თავი საჭმელი, ერთი ჰიქა არაყი და ერთი ჰიქა ღვინო ან ლუდი—40 კაპ.; სამი თავი საჭმელი, 1/2 ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—65 კაპ.

(თვ.—6.—14) პატივის ცემით **ვანო.**

ექიმი
ნ. ტ. მულინი
ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე, დღისით 12—2 და საღამოს 6—8 საათამდე, სუდებნი ქ. № 26. (20—6.—4)

რესტორანი
„ფუნიკულერი“.
1 ს.—6 ს. **სადილი** 4 **ბლუდი** 1 მ.
სადილი 1 ივნისისთვის
დანიშნული განსაკუთრებულ გამოცდილის მზარეული მ. მიშელის.
1. ჩიხირთმა ბატკნისა.
2. სირნიკი ნაღებით.
3. ვარია შემწვარი.
4. ზიფირი კლუბნიკისა
და 6. ყავა.

მოძრაობა ფუნიკულერის ვაგონებისა დილის 8 ს. ღამის 12 საათამდე.

5 საათიდან—10 საათამდე უკრავს ორკესტრი 8-კავკასიის მსროლელთა ბატალიონისა კაპელმეისტერ ფიდელმანის ზედამხედველობით.

(0—23) პატრონი **ნ. ტ. ჩიკვაიძე**

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 12.

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 15, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისით, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე და საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (306.—19)

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—278—29)

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2-მდე და 5—7-მდე. კვირაობით მხოლოდ 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივანისა. (30—16)

ექიმი
ვ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 545 ტელეფონი № 825. (90 296—61).

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ბინადარი: ნიკოლოზისა (№ 82) და ხიდის (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი!.

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
30 მაისი

ლონდონი, 30 მაისი. ყველა გაზეთები ღრმა სიამოვნებით აღნიშნავენ ზავის პირველ ნიშნებს რუზველტის მეცადინეობის წყალობით და ურჩევენ იაპონიას, ზომიერება იხმაროს მოთხოვნებში, რუსეთმა-კი დაიწყოს მოლაპარაკება, სანამ არ აუღიათ ვლადივასტოკი და ხარბინი, რასაც იაპონელების მიერ მოთხოვნების გაზვიადება მოჰყვებაო. გაზ. „ნიუს ვორლდ“-ი ირწმუნება, მეფე ედუარდმა ტელეგრაფით მიულოცა გუშინ რუზველტს პეტერბურგში გამარჯვებაო.

შანხაი, 29 მაისი. იუწყებიან, იაპონელებმა უკვე დაიწყეს გარს შემოვლა მანჯურიაში. ბრძოლას ყოველ წუთს ელიანო. იაპონიამ მიიღო წინადადება დროებით ზავის ჩამოგდებაზე.

სინგაპური, 29 მაისი (ლონდონის გზით). გემი „ოკალიონ“-ი შეხვდა 28 მაისს, გათენებისას, რუსის მაშველ კრეისერს მალაკის სრუტეში; კრეისერს რუსეთისკენ ეჭირა პირი.

ტოკიო, 29 მაისი. (ლონდონის გზით). ოფიციალური. იაპონელებმა შეავიწროვეს 27 მაისს რუსის რაზმები, რომელთაც მაღლობები ეჭირათ ლენგშციშანის ჩრდილოეთით და, ამას გარდა, დაიჭირეს ერშილინაოსი, ტუნტაიცზისა და შინგტუნგჩანის მიდამოები. სხვა ცვლილება არ მომხდარა.

ტოკიო, 28 მაისი. როცა მთავარი ძალები უკვე შინ ბრუნდებოდნენ რუსის 4 გემის დაჭერის შემდეგ, ისინი, 15 მაისს, შეხვდნენ ჯავშნოსან „ადმ. უშაკოვს“ ს, რომელიც, ეტყობოდა, იაპონიის გემების კვამლს მიჰყვებოდა. დაინახა თუ არა თავისი შეცდომა „ადმ. უშაკოვ“-მა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოჰკურცხლა, მაგრამ მას გამოუდგნენ იაპონიის გემები „ივატე“ და „იაკუმა“, წინადადება მისცეს, დაგვნებდიო და თანაც ნებოგატოვის დამორჩილებაც აცნობეს. „ადმ. უშაკოვ“-მა ჯერ სიგნალები მისცა და შემდეგ მიწყნარდა. მაშინ იაპონელებმა დააყარეს ყუმბარები და ჩასძირეს კიდეც ნახევარ საათში. მეზღვაურები სულ 412 კაცი იყო; ამათში 192 „ივატე“-მ გადაარჩინა, 140-კი „იაკუმა“-მ.

ტოკიო, 29 მაისი. სამგლოვიარო ცერემონია გაიმართა ზღვაში დახოცილ მეომართა სულის მოსახსენებლად.—ცინდაოდან იუწყებიან დეპეშით, რუსის გემი „ლენა“ დღეს დილით გავიდა ცინდაოდან ნახშირით დატვირთულიო. მას აგრეთვე რამდენიმე ასი ათასი მანათი მიაქვსო. ფიქრობენ, გემი ან ვლადივასტოკს, ან მანილაში მიდისო. ახლა გამოირკვა მიზეზი, რატომ არ მიიღო ვლადივასტოკის ესკადრამ მონაწილეობა უკანასკნელ ბრძოლაში. ნაგასაკში მოვიდა ბრიტანიის სავაჭრო გემი, რომლის მეზღვაურებს 1 ინგლისელი, 16 ჩინელი და 1 გერმანელი შეადგენენ; ისინი ამბობენ, რუსები ვლადივასტოკში ჯერ კიდევ ასწორებენ და წყლიდან იღებენ ჩაძირულ სამხედრო გემებსო. ნავთ-სადგურში ჩაიძირა რამდენიმე ნაღმოსანიო.

ლონდონი, 30 მაისი. საკითხი შესახებ უსაქმობისა, რომელმაც შიმშილობა დაჰბადა ინგლისის მრავალ ადგილებსა და ლონდონში, თანდათან უფრო მწვავდება. დღეს ნედლონის ძეგლთან ტრაფალგარში შეიკრიბა 440 მუშა, რომელთაც 150 ვერსი გამოიარეს ფეხით; ამათში 160 ყოფილი სალდათია სამხრეთ აფრიკის ომის დროს; დაესწრო რამდენიმე ათასი კაცი. წარმოითქვა ბევრი მხურვალე სიტყვები. ერთმა ახალ-გაზდა ოფიცერმა, რომელიც მშიერებს მიჰყვებოდა, მონაწილეობა მიიღო კრებაზე და განაცხადა, რომ ის ათასს გირ. სტერლ. სწირავს და წინადადებას იძლევა, სხვებმაც მიჰბაძონ მისს მაგალითს. ამ შემთხვევამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასსაზე. მეორე ოფიცერმა გაიღო იქვე 200 გირ. შინაგან საქმეთა მინისტრმა წერილი გაგზავნა და ურჩია მეფეს პირადათ მიეღო მუშები, რომელნიც ლესტერში მცხოვრებ მუშათა 2000 ოჯახის წარმომადგენელნი არიანო.

პენზა, 29 მაისი. მხეცური მკვლელობა მოხდა. დასაძინებელ ოთახში მოკლული იპოვნეს სახლის პატრონი, მოხუცი არხანგელსკი და მისი ცოლი.

ოზოლიანი, 29 მაისი. ობიანის შტოს სახალხო მატარებელი რელსებიდან გადავარდა. მემანქანეს ფეხები მოჰკვეთა, მისი თანაშემწე და კონდუქტორი დაშავდნენ, დაიჭრა ერთი მგზავრი.

პარიზი, 30 მაისი. გაზეთების სიტყვით, გარეშე საქმეთა მინისტრის პორტფელი ფრეისინეს ჩაბარდება.

კანეია, 29 მაისი. პრინც გიორგიმ ბრძანება გამოსცა კრების 40 დღით გაგრძელების შესახებ. საფრანგეთისა და იტალიის ჯარებმა ალყა შემოარტყეს კანეას. იუწყებიან, ამ დღეებში კონსულები ულტიმატუმს გაუგზავნიან აჯანყებულთ და მოსთხოვენ, იარაღი აიხსენით ათი დღის განმავლობაშიო.

ნარვა. 28 მაისი. ნარვის ახლო-მახლო ადგილებში მძარცველთა ბრბოები გაჩნდნენ; მათ ამ დღეებში ალყა შემოარტყეს ესპის სახლს, ასი ტყვია ესროლეს მას და შემდეგ დაიმალნენ. პოლიცმეისტერმა პატრული დაასხა, რომელიც გაემართა ტყისკენ ბრბოს დასაჭერად, მაგრამ ამაოდ,—იგი მიიმალა. ავაზაკთა რიცხვში ექვსი ციხიდან გაქცეული ტუსაღი ურევია. ზომები მიიღეს მათ მოსანახავად.

კოვნა, 30 მაისი. ბაზრებში საეჭვო პირნი გაჩნდნენ, რომელნიც სამეურნეო ნაწარმოებით მოვაჭრეთ ჰფანტავდნენ და ქალაქში არ უშვებდნენ სოფლებიდან გლეხებს. საჭირო შეიქნა პოლიციისა და ჯარის ჩაყენება ბაზრებში. დღეს სიწყნარეა. სანოვაგე გაძვირდა.

კოპენჰაგენი, 20 მაისი. ქრისტეან ჭაბუკთა კავშირის აქაურ განყოფილებაში მოხსენება წაიკითხეს იაპონიის პროფესორებმა იბუკამ და ხონდამ ქრისტიანობის მდგომარეობის შესახებ იაპონიაში.

პეტერბურგი. ტყუილია ხმები შაქარზე ბაჟის გადიდების შესახებ. პირიქით, მანეთზე თითო შაური მოაკლდა კანონიერ ნორმის შემოდების გამო.

ბოგოროდსკი, 30 მაისი. შიბაევების ბირჟაზე 880 ფეიქარი გაიფიცა. ითხოვენ: ხელფასის მომატებას და სამუშაო დღის შემცირებას.

ვილნა, 30 მაისი. პოლესიის გზების საზოგადო საკრებულომ დაადგინა, კვლავ არავითარ ჯარიმა აღარ გამოართვან გზების მუშებს და მოსამსახურეებს, სახელოსნოებსა და დეპოში შემოიღონ 9 საათი, შაბათობით 7 საათი, სავალდებულოდ გახდეს მუშებთან თქვენობით ლაპარაკი, ის მუშა, რომელსაც 3 წელზე მეტი უმსახურნია, დათხოვნილ იქნება მხოლოდ საქმის გარჩევის შემდეგ; საქმეს გაარჩევს კომისია, რომელშიაც მუშების ამორჩეულები მიიღებენ მონაწილეობას.

კოვნა, 30 მაისი. გაიფიცნენ ქალაქის რკინის გზის მოსამსახურეები და ხელ-ფასის მომატებას ითხოვენ.

ტიუმენი, 30 მაისი. 28 მაისს შეუერთდნენ დამტვირთველებს ხე-ტყის, ტყავის და პადნეულობის ქარხნების მუშები და მაღაზიების ნოქრები. ამორჩეულია დეპუტატები მოთხოვნილებათა გამოსაცხადებლად. მუშების პეტიციას 29 მაისს გაარჩევს ვაჭრების საგანგებო კრება. ნოქრების მოთხოვნილება დააკმაყოფილეს. დაუთმეს 10 საათის სამუშაო დღე, დასვენება დღესასწაულებში და სამედიატორო სასამართლო.

კოპენჰაგენი, 30 მაისი. თუმც შვეციის პოლიტიკური წრეები გარკვეულად დამშვიდებულნი არიან, მაინც შესაძლებელია საქმე გამწვავდეს. ნორვეგია მზადაა საომრად.

სტოკჰოლმი, 30 მაისი. კაბინეტის მდგომარეობა შეირყა. როგორც რიგსდაგს მოიწვევენ, კაბინეტი სამსახურიდან გადადგება.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
30 მაისი

ტოკიო, 29 მაისი. იაპონიამ შემდეგი პასუხი გაუგზავნა რუზველტს: „როგორც მთელი ქვეყნიერობის ინტერესებისა, ისე იაპონიის ინტერესების სასარგებლოდ ჰსურს რა რუსეთთან ზავის ჩამოგდება ისეთის პირობით, რომელიც სრულიად უზრუნველ ჰყოფს ზავის სიმკვიდრეს, იაპონიის იმპერატორის მთავრობა თანახმაა პრეზიდენტის წინადადებისამებრ რწმუნებული დანიშნოს რუსეთის რწმუნებულებთან შესახვედრად იმ ვადასა და ადგილზე, როგორსაც ურთიერთთან შეთანხმებით შესაფერად სცნობენ საბოლოო ზავის პირობებზე მოლაპარაკებისათვის, რომელიც მხოლოდ პირდაპირ მეომარ სახელმწიფოების შორის უნდა გაიმართოს“. „ჯი-ჯი-შიმპო“ სწერს: იაპონია დასთანხმდა რწმუნებულთა დანიშვნას, მაგრამ ნაადრევი იქნება ვიფიქროთ, რომ ეს ზავის სწრაფლ ჩამოგდებას მოასწავებდეს. იაპონიამ ბეჯითად უნდა დაიცვას გამარჯვებულის უფლება და დროებით ზავის ჩამოგდებამდე გარანტია უნდა მივიღოთ, რომ იაპონიის სტრატეგიული მდგომარეობა არ გაცუდდებაო.

ვაშინგტონი, 29 მაისი. აქაურის ცნობით, რუსეთსა და იაპონიას შორის დროებით ზავს ჩამოაგდებენ ექვსის კვირით.

ვაშინგტონი, 30 მაისი. რუზველტისა და სამხედრო მინისტრ ტაფტის თათბირის შემდეგ, პრეზიდენტის მდივანმა გამოაცხადა, რომ ზოგიერთ გარემოებისა გამო, რუსეთისა და იაპონიის პასუხები გამოცხადებულ არ იქნებიანო. ირწმუნებიან მაინც, რომ ეს მოლაპარაკების გაძნელებამ როდი გამოიწვიაო. მოლაპარაკება საკმაოდ კარგად მიდის.

პარიზი, 30 მაისი. განოტო მოწინავე წერილში გაზ. „ჟურნალ“-ში აღნიშნავს, რომ საერთაშორისო დიპლომატიამ უნდა უზრუნველჰყოს იმ სახელმწიფოების თანასწორობა, რომელთაც ინტერესები აქვთ შორეულ აღმოსავლეთში.

ვაშინგტონი. ერთად-ერთი მიზეზი პასუხების გამოცხადების დაგვიანებისა ისაა, რომ პრეზიდენტს ჰსურს, ჯერ ოფიციალურად გადასცეს იაპონიის პასუხი რუსეთს და რუსეთის პასუხი იაპონიას, რითაც დასრულდება ამერიკის როლი. შემდეგ დროებით შერიგების ჩამოგდებასა და წარმომადგენელთა შეხვედრას მოელიან. წარმომადგენელნი იაპონიის მიერ დანიშნულ ადგილას შეიყრებიან. იაპონია თავის პირობებს გამოაცხადებს, ამ პირობებს პირდაპირ რუსეთის ხელმწიფეს გადასცემენ და თუ შესაფერისად სცნობენ, რწმუნებულნი ვაშინგტონში შეიკრიბებიან ხელ-შეკრულობის დასადებად.

ტოკიო, 29 მაისი. აქ ამბობენ, ვაი თუ დროებით შერიგებაზე დათანხმებით, იაპონიამ ნაშოვნი უპირატესობა დაჰკარგოსო. ეშინიანთ, რომ რუსებმა დროებით ზავით არ ისარგებლონ, ომის ასპარეზზე მდგომარეობა არ გაიუმჯობესონ და პოზიციები არ გაამაგრონ, ამიტომ თხოულობენ, რომ დროებით შერიგებამდე იაპონიის უპირატესობა უზრუნველ-ყოფილ იქმნას.

პეტერბურგი, 30 მაისი. „პეტერბურგის სააგენტო“-ს გაუგონია, რომ დღეს პეტერბურგში შეერთებულ შტატების ელჩს რუსეთის მთავრობის ნოტა ჩააბარეს პასუხად პრეზიდენტ რუზველტის წინადადებისა რუსეთისა და იაპონიის რწმუნებულთა შეხვედრის შესახებ იმ პირობათა გასაცნობათ, რომლითაც შესაძლებელია ზავის შეკვრაო.

ვაშინგტონი, 30 მაისი. (რეიტერი). ოფიციალურ წრეებში ირწმუნებიან, რომ საზავო მოლაპარაკება არაფრით არ დაბრკოლებულაო. ყველა ხმა ამის შესახებ სრულებით სწორე არაა. რუზველტმა დღეს თავის წინადადების პასუხი მიიღო რუსეთისაგან. შემდეგ კასინი ნახევარ საათს იყო რუზველტთან. გრძელ შიფრიან დეპეშაში, მეიერისაგან ხელ-მოწერილ და რუზველტის მიერ შაბათს მიღებულში, ალბად, მხოლოდ ფორმა იყო აღნიშნული რუსეთის პასუხისა.

პეტერბურგი, 29 მაისი. 28 მაისს მოხდა მესამე სხდომა მინისტრთა საბჭოსი, რომელსაც მინდობილი აქვს განხილვა შინაგან საქმეთა მინისტრის განზრახულებათა 18 თებერვალს გამოცხადებულ უმაღლეს რესკრიპტის განსახორციელებლად. პირველ სამ სხდომაზე საბჭომ განიხილა უმთავრესი საფუძველი პროექტისა კანონ-სათათბიროთ არჩეულ დაწესებულების შესახებ. ბოლონდელ სხდომაზე საბჭომ განიხილა არჩევნების სისტემა. რამდენისამე დღის განმავლობაში დამატებით ცნობებს შეკრებენ ამ საგნის შესახებ, საბჭო დაასრულებს არჩევნების წეს-რიგის განხილვას და შემდეგ განიხილავს პროექტის თვითეულ მუხლს.

დონის როსტოვი, 30 მაისი. გუშინ არ გამოსულან სამუშაოდ პურის სავაჭროების ნოქრები და ნავთსადგურის მუშები. კვირა დღეს დასვენებას თხოულობენ. პურის მოვაჭრეები პრინციპიალურად თანხმობას აცხადებენ, რკინის გზები კი ჰგზავნიან აქ ვაგონებს დასაცლელად. ბირჟის კომიტეტი თხოულობს განთავისუფლდნენ პასუხისმგებლობისაგან საქონლის მიმღებნი და კვირაობით აღარ ჰგზავნონ ვაგონები.

მარიუპოლი, 30 მაისი. გუშინ ნავთსადგურის მუშები არ გამოსულან სამუშაოდ: კვირა დღეს უქმობდნენ. მთელი დღე სიწყნარე იყო.

კრემენჩუგი, 30 მაისი. ნოქრები არ დაკმაყოფილდნენ ვაჭრების საბჭოს გადაწყვეტილებით და თხოულობენ 12 საათის სამუშაო დღეს.

ტანჟერი, 30 მაისი. რეიტერი იუწყება, მდგომარეობა ფესში თან და თან სერიოზული ხდებაო. ფიქრობენ, გერმანიამ ჯერ-ჯერობით მხოლოდ უმნიშვნელო სავაჭრო კონცესიები მიიღო, მაგრამ მომავალში დიდად სახეირო საქმეებს დაჰპირდნენ, რამაც შეიძლება სერიოზული კრიზისი გამოიწვიოსო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ხმები ზავზე. თუ დეპეშებს დავუჯერებთ, იქნება მალე ომის ასპარეზზე დროებითი შერიგება ჩამოვარდეს და მარშალმა ოიამამ და ადმირალმა ტოგომ ადგილი დიპლომატებს დაუთმონ, იქნება ჯარისა და ფლოტის ნაცვლად ეხლა იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრმა კომურამ და ელჩებმა გაიაშიმ, ტაკახირამ და სხვებმა იმოქმედონ.

ბევრს არა სჯერა მაინც ეს ცნობები და შერიგება ჯერ-ჯერობით შეუძლებლად მიაჩნია. იაპონიის ელჩს ტაკახირას ვაშინგტონში უთქვამს „სინ“-ის კორესპონდენტისათვის: „ზავზე ლაპარაკი მეტად ნაადრევია, რუსეთს ჯერ მოფიქრების დრო უნდა მივცეთ. როცა რუსეთი გონს მოვა, მაშინ-კი იქნება შესაძლებელი გახდეს ზავი. იაპონიის ერსაც ნაკლებად ჰსურს შერიგება. იაპონიას ეშინიან, რომ რუსეთის მთავრობა მალე დაეცემა და თავის მოვალეობას ვერ აასრულებსო. ამიტომ იქნება საბოლოო ზავის ჩამოგდებამდე, იაპონიამ გარანტია მოსთხოვოს სხვა დიდ სახელმწიფოებს, რომ ზავის პირობა ასრულებულ იქნებაო.

გერმანული გაზეთები იუწყებიან: პრეზიდენტმა რუზველტმა საუბრის დროს უთხრა რუსეთის ელჩს გრაფ კასინის: იმედი მაქვს მალე შერიგება მოხდებაო. კასინიმ მიუგო, რუსეთი ომს განაგრძობს, რადგან ეხლა ცუდი დროა ზავის ჩამოსაგდებად—იაპონია მეტად ბევრს მოითხოვსო, მაგრამ რუზველტმა უპასუხა: ჩემის აზრით, რუსეთმა თავდაპირველად თავისი მდგომარეობა უნდა შეიგნოს, რიგზე ასწონ-დასწონოს, მთელის ქვეყნიერობის რჩევა შეისმინოს და ომი მოსპოს, რადგან რუსეთს არავითარი იმედი არა აქვს გამარჯვებისა; იაპონიის პირობის გაგებას-კი მაგრე რიგად დიდი მნიშვნელობა როდი აქვს რუსეთისათვისაო.

„პრეუს. კორესპონდენც“-ს არა სწამს შერიგება. გაზეთი სწერს: ეხლა ბრწყინვალე საზღვაო გამარჯვების შემდეგ, იაპონია ხარბინისა და ვლადივასტოკის დაჭერას ეცდება და როცა რუსეთის საკუთარ ადგილს დაიჭერს, უფრო სასარგებლო პირობით შეჰკრავს ზავსაო. მაინც ყველაფრიდან სჩანს, რომ იაპონიას ომის გაგრძელების სურვილი აქვს; გენ. ლინევიჩი დეპეშით იუწყებოდა, იაპონელები მალე წინ გამოილაშქრებენო. სხვა ადგილებიდანაც ამნაირივე ცნობები მოდის. ვნახოთ, რამდენად გასჭრის პრეზიდენტ რუზველტის შუამავლობა, შეაყენებს საზარელ სისხლის ღვრას, თუ ვერა. („ნ.“).

სამხედრო მოქმედება ხმელეთზე. ადმ. ტოგომ თავის ფლოტით ერთის დაკვრით მოსპო რუსის ფლოტი ცუსიმასთან და საზღვაო ომიც სამუდამოდ გაათავა. ეხლა ჯერი მარშალ ოიამასა და იმის არმიაზე მიდგა. სამხედრო მიმომხილველები ჰფიქრობენ, იქნება იაპონელებმა რუსეთის ჯარსაც მალე მოუღონ ბოლოო. მაისში ბევრი საყურადღებო ამბავი მოხდა მანჯურიაში. იაპონელები კარგად მოემზადნენ გასალაშქრებლად და საცაა რუსის არმიაზე იერიშს მიიტანენ. ყველაზე ბეჯითად იაპონიის არმია გირინის მხარესა და რუსის არმიის მარცხენა ფრთაზე მოქმედებდა. 22 მაისს იაპონელთა მოწინავე რაზმებმა ქალ. ომოსა დაიჭირეს. ომოსა გირინსა და ნინგუტას შუა მდებარეობს და მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენს. („ო. ნ.“).

პარიზიდან დეპეშით ატყობინებენ „რუს“-სა: ხმა დადის, მარშალი ოიამა მალე გაი-

ლაშქრებს ლინევიჩის არმიის წინააღმდეგ და გირინისაკენ გაემართებაო. თუ ეს გალაშქრება გამარჯვებით დასრულდება, მაშინ ყველა არმიის საუკეთესო ნაწილს მე-6 არმიას მიუმატებს და ვლადივასტოკის ასაღებად გაჰგზავნისო.

გუნჩჟულინიდან იუწყებიან: აქ ბეჯითად ლაპარაკობენ, რომ გენ. კუროკის არმია ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ მიდის და შორიდან უვლის რუსის არმიასაო. („რ. ს.“).

გამოურკვეველი მდგომარეობა

რას ჰფიქრობს რუსეთის ბიუროკრატია, რა გზას ადგება,—აი გამოცანა, რომლის ასახსნელად თავს იმტვრევს დღეს რუსეთის პრესა. რომ ძველებურად ცხოვრება აღარ შეიძლება, ეს ყველასათვის ცხადია. საშინელმა ომმა საბოლოოდ დაამტკიცა აწინდელ წესწყობილების უვარგისობა. შინ არეულობა, გარედ სასირცხვო დამარცხება,—აი რა მოჰყვა ბიუროკრატიის ბატონობას და ხალხის დამონავებას! ვიმეორებთ, ეს ცხადი შეიქნა ყველასთვის და თვით ბიუროკრატიამ შეიგნო ცვლილების საჭიროება.

შეიგნო, მაგრამ რას აკეთებს? როგორ აპირებს თავიდან ააშოროს რუსეთს შინაური და გარეშე კრიზისი? ახლა მაინც, კორეის სრუტეში საშინლად დამარცხების შემდეგ, თუ მოვიდა გონს? არა და არა: ჯერ არაფერი არა სჩანს, „არაფერი სჩანს ზღვის ტალღებშიო“, რუსების თქმისა არ იყოს. კომისია-კომიტეტ-საბჭოები სოკოსავით მრავლდება, მაგრამ მათ მუშაობას ხეირი არა აქვს; ბულიგინის კომისიამ დაამთავრა თავისი მუშაობა და მინისტრებმაც მოიწონეს, მაგრამ ჯერ ხალხის წარმომადგენელთა მოწვევამდე თურმე ძლიერ შორს არის: ეხლა განსაკუთრებულმა საბჭომ უნდა განიხილოს იგივე პროექტი, მერე სახელმწიფო საბჭომ et cetera! ჩვეულებრივ დაუსრულებელი კანცელარიზმი...

მარტო ეს გარამოება ახასიათებს მშვენიერად ჩვენს ბიუროკრატიას: კანცელარიზმი ასეთ საშინელ დროს, ასეთ ძნელ პირობებში, როცა სახელმწიფო განსაცდელშია, როცა ყოველი წამი დიდმნიშვნელოვანი ხანაა, როცა ყველაფერი კატასტროფას გვიქადის!.. ბავშვისთვისაც-კი ცხადი უნდა იყოს, რომ ახლა საჭიროა სულიერი აღორძინება ერისა, საჭიროა ერთბაშად, გულწრფელად და რადიკალურად დათრგუნვილ იქმნას ძველი კურსი და სავსებით განხორციელებულ იქმნას ხალხის მოთხოვნა საერო წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობის დაწესების შესახებ. ეს რომ დაუყოვნებლივ მოხდეს და დღესვე გაიგოს მთელმა ქვეყანამ, მაშინ იფეთქებს ხალხის ზნეობრივი ძალა და ცხოვრება განახლდება. ყოველგვარი ყოყმანი კი, „ნახევარზომა“, ორჭოფობა უფრო და უფრო ამწვავებენ მდგომარეობას...

მაშ, როგორ არის საქმე? არის თუ არა იმის ნიშნები, რომ ბიუროკრატიას ესმის დღევანდელი მდგომარეობა და სწორე გზას ირჩევს? არა, პარიქით, ყოველ დღე ვრწმუნდებით, რომ სათავეში მყოფნი სრულს ზნეობრივსა და გონებრივს სილატაკეს იჩენენ, რომ მათ არამც და არამც არა ჰსურთ ანგარიში გაუწიონ დროთა მოთხოვნას, რომ ისინი არხეინად განაგრძობენ „ვულკანზე ცეკვას“... ასეთი უგუნურება და სილატაკე ბიუროკრატიისა ახალი ისტორიული მოვლენა არ არის: ბიუროკრატია ყველგან ასეთი იყო, არსად არ უმოქმედნია შეგნებულად და ყოველთვის კატასტროფამდე მიუყვანია საქმე...

ბიუროკრატიის ამგვარს უძლურებაზე ბევრსა სწერენ ახლა რუსულს გაზეთებში, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ამგვარსავე ჰანგზე დაიწყეს სიმღერა კონსერვატიულ გამოცემებმაც; მაგალითად „სლავიანოფილთა“ გაზეთი „სლოვო“ ბოლოს დროს სავსებით გადვიდა ოპოზიციაში და რადიკალ გაზეთებს შეუერთა თავისი ხმა. აი, რას ვკითხულობთ ამ გაზეთის უკანასკნელს №-ში რუსეთის ცხოვრების დღევანდელს წუთზე:

„ორის დღის წინად იმედი გამოვთქვით, რომ პოლიციის სამინისტროს დაწესება შეიძლება არ მოასწავებდეს კიდევ მთავრობის პოლიტიკის საბოლოოდ გამორკვევას, არ მოასწავებდეს, რომ ბიუროკრატია გადაჭრით რეაქციის გზას ადგება. მაგრამ დღეს კვლავ ვკითხულობთ „პრავიტ. ვესტნიკ“-ში, რომ კავკასიის ნამესტნიკთანაც არსდება განსაკუთრებული თანამდებობა პოლიციის მართვისათვის; პოლიციის გამგე ნამესტნიკის თანაშემწეა; თავისი კანცელარია ექნება, საკუთარი კრედიტი და ერთობ ფართო უფლებანი, ასე რომ პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კავკასიაში არსდება განსაკუთრებული სამინისტრო პოლიციისა. ამრიგად, როგორც რუსეთის იმპერიის დამშვიდება მიანდეს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს, ისე კავკასიის ბედ-იღბალი განსაკუთრებულ პოლიციის მინისტრს დაავალეს.

თუ ამ საოცარ „ჰარმონიას“ შეუთანხმებთ იმ ხმებს, რომლებიც საზოგადოებაში ტრიალებს ბულიგინის გადაყენებაზე და იმას მაგიერ ბ.ბ. შტიურმერის ან სტიშინსკის დანიშვნაზე, თუ ამასთანავე გავიხსენებთ იმ მრავალ ცირკულიარებს, რომლებით პრესსას ლაპარაკს უკრძალვენ სხვა და სხვა საზოგადო მოვლენებზე,—ჩვენ თვალწინ უნებლიედ იხატება „სახელმწიფო სისტემა“ სრულიად რუსეთის სასაფლაო მყუდროების გენიოსურ ორგანიზატორის პლევესი.

ნუ თუ ისევ უნდა ვიგემოთ ის საშინელი ხანა პოლიციურ ბატონობისა, რომელმაც დახშო ყოველივე გონივრული, ერის ელემენტარული უფლებანი? ესმისთ თუ არა მრჩეველთ, რა დიად პასუხისმგებლობას კისრულობენ ქვეყნისა და ისტორიის წინაშე, როცა ამ ტრაგიკულს ხანაში ჰფიქრობენ იმ ძველის სისტემის აღდგენას, რომელმაც ასე ცხადად მოსწამლა დრო, დაშორდა ცხოვრებას იმდენად, რომ სამშობლო ვეღარ გვაძლევს ვერც ნიჭიერს, ვერც თავდადებულს მოღვაწეებს!...

დღითი დღე ბნელდება ჰორიზონტი, ყოველ დღე უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ შეუძლებელია ჩვენის სახელმწიფოს „მშვიდობიანი“ პროგრესსი. გული გვიკვდება ჩვენ, წესიერების და სახელმწიფოს მშვიდობიან განვითარების დამცველთა და ერთგულთ, მაგრამ არ შეგვიძლია არ ვსთქვათ, რომ დღევანდელ მდგომარეობის გამამწვავებელნი—ბიუროკრატები შეგნებულად ღუპავენ რუსეთს..

გაზეთი, რასაკვირველია, უერთდება ხალხისა და საზოგადოების საუკეთესო ნაწილის მოთხოვნას საყოველთაო არჩევნების მოხდენის შესახებ და სამართლიანად ამბობს, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება ქვეყნის დამშვიდება, მაგრამ ვინ არის გამგონი? **გ.**

ოფიციალური ცნობა

(„კავკაზ“, № 139).

თათრებსა და სომხებ შორის ატეხილი იდუმალი მტრობა და ის შიში, რომ აღარ განმეორდეს ძალმომრეობა, ჯერ არ გამქრალა, თუმცა ჯარის მოსვლის შემდეგ არავითარი წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ. ქალაქისა და მაზრის თათრები თანხმობას აცხადებენ, დაუბრუნონ პატრონებს არეულობის დროს დატაცებული ქონება. ამგვარ ნადავლ ქონებას ჯერ მეჩეთებში აწყობდნენ და აქედან პატრონებს უბრუნებდნენ. სომხები დაბრუნდნენ თავიანთ სოფლებში, რომლებსაც, სომხებისავე თხოვნით, ჯარის პატარ-პატარა რაზმები იცავენ. არხებმა მუშაობა განაახლეს, მინდვრებში მუშაობა სწარმოებს ჯარის მცველობით. პოლიციის ნაწილებში დანიშნულია ყაზახების სოტნები წესიერების თვალ ყურის სადევნებლად, რომლის დაცვაც მამასახლისებსა და გავლენიან პირებს დაევალათ. მას შემდეგ, რაც დატაცებული ქონება გამოიტანეს თათრების დუქნებიდან და სომხებს დაუბრუნეს, ეს დუქნები ხელ-ახლა გაიღეს და ქალაქში ჩვეულებრივი ვაჭრობა განახლდა. მაზრის შემოვლის დროს გენერალი ალიხანოვი აძლევდა შესაფერ დარიგებებს, სოფლის ყრილობებზედ დაამშვიდა მკვიდრნი და თათრებსა და სომხებს პირობა ჩამოართვა არეულობა აღარ განაახლონ, რადგან აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ დუქნებისა და სოფლების ძარცვაში სომხებსაც მონაწილეობა მიუღიათ. ამ მიზეზისა გამო დაპატიმრებულ იქნა რამდენიმე პირი. სხვების დანაშაულობის განსაზღვრა და გამორკვევა გამოძიებასა და სასამართლოს მიენდო. სომხობას განსაკუთრებით აღელვებდა ორი შემდეგი გარემოება: ს. ბადამლუში 800 სულმა სომხებმა, მღვდლის მეთაურობით, განაცხადეს, რომ ჩვენი თავის უზრუნველ საყოფლად და ქონების დასაცველად, ჩვენის სურვილით, თათრების ძალა დაუტანებლად, მივიღებთ მაჰმადიანობასაო. ამასთან აღმოჩნდა, რომ იმათ დაეპარსათ თავები, გამოეცვალათ სახელები და დაერქვათ მაჰმადიანური სახელები. ზოგი მათგანი დანათესავებოდა კიდეც მაჰმადიანებს ქორწინებით. დიდი შრომა მოუნდა გენერალ ალიხანოვს დაერწმუნებინა ისინი, რომ დაბრუნებოდნენ თავიანთ სარწმუნოებას, ქრისტიანობას, რაზედაც უმეტესობა დასთანხმდა, როცა მათ დაუტოვეს დასაცველად 10 ყაზახი. მეორე გარემოება იყო სომხების დიდი სიწმინდის, სახელად, „ხა ზარა პრკიჩის“ (ათასის მხსნელი), 15 გირვანქიან ვერცხლის ჯვრის მოტაცება. ეს ჯვარი მოჭედილია ძვირფასის თვლებითა და, გარდმოცემის სიტყვით, შეიცავს ნაწილს იმ დიდ ტასტისას, რომელშიაც იესო ქრისტემ ფეხთ დაჰბანა თავის მოწაფეებს. მიღებულ ზომების წყალობით, ეს წმინდა ჯვარი დაუბრუნდეს შეიხ-ულ-ისლამს და ხელწერილით ჩააბარეს ეპარქიის უფროსს არქიმანდრიტს კარაპეტს. საზოგადოდ ყველა ამან მეტად კეთილ გავლენიანი შთაბეჭდილება იქონია და ეხლა ადგილობრივ ცხოვრების თავის ჩვეულებრივ კალაპოტში ჩასაყენებლად საჭიროა მხოლოდ დრო.

მთავრობის განკარგულება

დებულება კავკასიის პოლიციის შესახებ.

(დასასრული *)

10. პოლიციის გამგეს მოვალეობა:

1. პოლიციის გამგე ხელმძღვანელობას უწევს კავკასიის ყველა საგუბერნიო ჟანდარმთა გამგეობის მოხელეს, რკინის გზის ჟანდარმთა საპოლიციო გამგეობებს და საზოგადო პოლიციას, რომელიც აწარმოებს საიდუმლო გამოძიებას, ზედამხედველობას, პოლიტიკურ დანაშაულობათა გამოკვლევას და აღკვეთას და ყოველგვარ პოლიტიკურ მოძრაობის გამოძიებას. პოლიციის გამგეს განკარგულება ამ საგნების შესახებ მოხსენებულმა პირებმა და დაწესებულებებმა დაუყოვნებლივ უნდა აასრულონ;

2. პოლიციის გამგე ხელმძღვანელობას უწევს საიდუმლო პოლიციის მოქმედებას, ნამესტნიკის მიერ აღნიშნულ წესით და პოლიციის დეპარტამენტიდან მიღებულ საზოგადო მოსაზრებისა დავვარად.

3. ხსენებულ ორ მუხლში მოყვანილ საგნების შესახებ პოლიციის გამგე, ნამესტნიკის განკარგულებით, უგზავნის გუბერნატორებს და ოლქის უფროსებს განმარტებასა და წინადადებას;

4. განაგებს თანხას, რომელსაც პოლიციის დეპარტამენტი აძლევს კავკასიის ჟანდარმთა გამგეობებს და საიდუმლო პოლიციას;

5. თვალყურს ადევნებს რამდენად წესიერად ეკიდებიან სატუსაღოებში პოლიტიკურ დამნაშავეთ და შესაფერ განკარგულებას იძლევა ამ საგნის შესახებ;

11. პოლიციის გამგეს გუბერნატორებსავით უფლება აქვს ერთ თვემდის დაატყვევოს ის პირნი, რომელნიც შეიპყრეს სახელმწიფო წესწყობილების და საზოგადო მშვიდობიანობის დასაცველად არსებულ დებულების ძალით.

12. მოხსენებულ საგნების შესახებ პოლიციის გამგეს პირდაპირი დამოკიდებულება აქვს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგთან, რომელიც განაგებს პოლიციას, პოლიციის დეპარტამენტთან, სამოსამართლო პალატების ბრალმდებლებთან, გუბერნატორებთან, ოლქის უფროსებთან და სხვა სახელმწიფო მოხელეებსა და დაწესებულებებთან.

13. თუ სადმე წესიერება დარღვეულ იქნა, პოლიტიკური ხასიათის შემთხვევა მოხდა ან ადგილობრივ ცხოვრებაში რომელიმე არა-ჩვეულებრივმა მოვლენამ იჩინა თავი, ჟანდარმთა კორპუსის და საზოგადო პოლიციის მოხელეები აცნობებენ აგრეთვე პოლიციის გამგესაც.

14. პოლიციის გამგეს ეძლევა უფლება:

ა) დროებით გააძლიეროს საჭიროებისამებრ ჟანდარმის უნტერ-ოფიცერთა რიცხვი—მოაკლოს ჟანდარმთა ერთს რომელსამე გამგეობას და მეორეს მოუმატოს.

ბ) დაამტკიცოს ან გამოსცვალოს ჟანდარმთა უნტერ-ოფიცრების სადგურები კავკასიაში;

გ) თუ ჟანდარმთა რომელსამე გამგეობას მოხელეთა საკმაო რიცხვი არა ჰყავს, სხვა გამგეობიდან შეავსოს;

დ) თუ საჭიროება მოითხოვს, პირადად ან თავის ხელ-ქვეითთა შემწეობით მოახდინოს რევიზია პოლიტიკურ საქმეების წარმოებისა და საიდუმლო პოლიციის ხარჯებისა.

ახალი ამბავი

◆ ყოველ წლობით ტფილისში იმართებოდა **სატყეო უწყების მოხელეთა კრება** სხვა და სხვა საკითხის განსახილველად. რადგან თითქმის მთელს კავკასიას მოედო გლეხთა მოძრაობა, წლევანდელმა კრებამ მოხელეებისამ გააფართოვა განსახილველ საგნების პროგრამა და შეეხო გლეხთა მოძრაობის მიზეზებსაც. მოხელეთა კრება ამ ერთი კვირის წინად დაიწყო ტფილისში და დასრულდა გუშინ, 31 მაისს. ადგილობრივ საქმეების მართვა-გამგეობისთვის კრებამ საჭიროდ სცნო სრულის თვითმმართველობის შემოღება. კრების აზრით, შემოღებულ უნდა იქნას კავკასიაში საერობო დაწესებულებანი და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. დიდი ყურადღება მიაქცია კრებამ აგრეთვე ადგილ-მამულის სიმცირეს და აღიარა, რომ კავკასიაში მიწა ადგილობრივ მცხოვრებთაც ძლივს ჰყოფნის. კრებამ დაადგინა, გაუქმდეს გადმოსახლება შიდა რუსეთიდან და თავისუფალი მიწები დაურიგდეთ ადგილობრივ მცხოვრებთ. მოისპოს აგრეთვე ახლად დაარსებულ მონასტრებს სანადელო მიწების მიცემა. ახალ კანონით გლეხებს სანადელოდ არ ეძლევათ ის სახაზინო ადგილები, რომელიც მესაკუთრეთა ადგილებს შუა მდებარეობს. ამის გამო მრავალი უსიამოვნებაა ხაზინასა და გლეხთა შორის. კრებამ დაადგინა, გაუქმდეს ეს ახალი კანონი და მიწები უსათუოდ დაეთმოთ მცხოვრებთ უკეთეს პირობებით. სატყეო ნაწილის მოხელეთათვის სავალდებულო იყოს ადგილობრივ ენების ცოდნა, რადგან უამისოდ ვერავითარს რიგიანს დამოკიდებულებას ვერ იქონიებს მოხელე მკვიდრთან. საქართველოში არსებობდა სატყეო კონდუქტორთა სკოლა; რაღაც განზრახვით, ეს სკოლა ჩრდილოეთ კავკასიაში გადაიტანეს. კრებამ დაადგინა, დაარსებულ იქნას ასეთი სკოლა

---

*) იხ. „ცნ. ფურ.“ № 2832

ფელეტონი

ეროვნული თვით-მმართველობა და „მოგზაური“

I

„მესამე დასის“ მეთაური ავტონომიის შესახებ.

„მოგზაური“ *) მეტად ბრაზ-მორეული და გახელებულია ავტონომისტების წინააღმდეგ, პირიდან დორბლსა ჰყრის და ყოველ-გვარ საშუალებას ხმარობს თავის მოწინააღმდეგეთა დასამცირებლად და დასამარცხებლად. ამგვარი საქციელი, ვგონებ, სულთა-ბრძოლის ნიშანი უნდა იყოს.

„დასელთა“ მოღვაწეობას ჩვენს ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ მათი მოძღვრება ცალმხრივი იყო, გამოსადეგი მხოლოდ დროებით, და ამას იქით ვედარავის დააკმაყოფილებს. სანამ ეს მოძღვრება არ ეწინააღმდეგებოდა საზოგადო ცხოვრების მოთხოვნილებას, „მესამე დასი“ ბევრს უანგარო მოღვაწეს იზიდავდა. მაგრამ დღეს ცხოვრებამ წამოაყენა ახალი საზოგადო საკითხი, რომლის გადაწყვეტაც ვერ შესძლო ძველმა მოძღვრებამ. ახალმა ფაქტებმა დაარღვიეს ძველი იდეოლოგიური შენობა, საჭირო შეიქმნა ახალი იდეოლოგია, დროს შესაფერი იდეალი. მხოლოდ ამგვარ იდეალს შეუძლია შექმნას გულ-წრფელი, ენერგიული, თავ-განწირული მოღვაწე. აი, ეს არის მიზეზი, რომ „დასელთა“ იდეოლოგია ინგრევა. და, ხომ მოგეხსენებათ, ძველის მოძღვრების მიმდევრები აგრე ადვილად, უბრძოლველად, ვერ შეელევიან თავის საყვარელ, ერთხელვე შეთვისებულ იდეალს, რომლის დროშით ქვეშაც იბრძოდნენ საზოგადო მოღვაწეობის ეკლით-მოფენილ ასპარეზზე.

დღეს, როდესაც მოახლოვებულია დრო საერთო კრების მოწვევისა, ეროვნულ საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტა აუცილებელია. და სწორედ ეს საკითხი დარჩათ შეუმუშავებელი და გადაუწყვეტელი „დასელებს“. სამწუხაროდ, თავის პროგრამაში ამ ნაკლის შესავსებლად, ძალა-უნებურად მიჰმართეს ძველებურ იდეოლოგიას, რომელიც შეუფერებელი და შეუთანხმებელია პრაქტიკულ მოღვაწეობის უბრალო ტაქტიკასთან. ამგვარად, დროებითი და წამიერი გააზოგადეს და გამოაცხადეს სამუდამო საზოგადო იდეალად.

როგორც ზემოდ ვთქვით, „დასელებს“ დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენის ხალხის გათვითცნობიერებაში. ამას იქითაც კიდევ დიდ ღვაწლს დასდებენ. მაგრამ საჭიროა მომავალში მოძრაობამ უფრო რიგიანი მიმართულება მიიღოს. საჭიროა საზოგადო მოძრაობა განთავისუფლდეს საშინელ შეცდომისაგან. თორემ ისე დაემართებათ „დასელებს“, როგორც ფურს, რომელმაც იწველა, იწველა, მერე ჰკრა წიხლი საწველს და დაქცია. რასაც ერთი ხელით აშენებ, მეორე ხელით არ უნდა ანგრევდე. საჭიროა კრიტიკის ცეცხლში გატარება „დასელთა“ იდეოლოგიისა. ფანატიზმი, ბრმა რწმენა, მეცნიერების შუქით გაუნათებელი, ყოველთვის მავნებელი ყოფილა. პირველ „დასელებს“ ცოცხალი ნიჭი, ფხიზელი გონება ჰქონდათ. ახალგაზრდები-კი ბრმად, უკრიტიკოდ მიდიან ერთხელვე გატკეპნილ გზაზე. ცხადია, ეს უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე საკუთარ გონებით სიარული, მაგრამ, რაც ადვილია, ყოველთვის უკეთესი არ არის ხოლმე.

მთელი ხსენებული №-ი „მოგზაურისა“ ეროვნულ ავტონომიის წინააღმდეგ არის მიმართული. თურმე „დასელთა“ სიტყვები ეგრედწოდებულ „ეროვნულ თვით-გამორკვევის“ შესახებ („національное самоопредѣленіе“) მოსატყუებლად ყოფილა ნათქვამი. ბოლოს-კი მოთმინების ძაფი გაუწყდათ, ნიღაბი აიხადეს და პირდაპირ, აშკარად გაილაშქრეს ეროვნულ ავტონომიის წინააღმდეგ. ეროვნულ „თვით-გამორკვევის“ შესახებ-კი ჭრიტინიც აღარ ისმის მათ ბანაკში.

„დასელებს“ ყოველთვის სუსტი თეორეტიკოსები, სუსტი მოაზრეები ჰყავდათ. მაგრამ, მართალი მოგახსენოთ, ძლიერ მიკვირს ასეთი დაქვეითება მათის დღევანდელ თეორეტიკოსებისა. ერთი ამ თეორეტიკოსთაგანი, გამომხატველი მათის მოძღვრებისა, დღეს ბ-ნი ა. წულუკიძეა. ვნახოთ, რამდენად გაუძლებს კრიტიკის მახვილს მისი წერილი,*) ნაწერი გამარჯვებულის კილოთი. აქვს თუ არა ნება, ასე ადრე მიულოცოს თავის-თავს გამარჯვება.

საჭიროაო, ბრძანებს ბ-ნი ა. წულუკიძე, ერთობა მუშათა შორის, ქართველი, სომეხი, რუსი უნდა შეერთდნენ კაპიტალისტების კავშირთან საბრძოლველადაო. „დღეს, როცა საერთო იერიშით ციხე შესძრეულია, მხოლოდ არ დანგრეულა, გვირჩევენ: დაიშალენით; სწორედ მაშინ, როცა იმის ზრუნვაში ვართ, რომ გავიმაგროთ მომავალი პოზიცია, სანგრებზე მეტი ძალა და გავლენა მოვიპოვოთ, სწორედ მაშინ ამ ძალის და გავლენის მქონე ერთეულს არწმუნებენ: დაიქსაქსენითო“, აი რას უკიჟინებს ავტორი ავტონომისტებს. ეს სიტყვები ბ-ნ წულუკიძეს ან გაუგებრობაში უნდა წამოეთქვას ან ცილის-წამებაში. მეორე ადგილას ამბობს: „შეგნებული ერთობა—აი პროლეტარიატის საბრძოლველი იარაღი, მტრის საწინააღმდეგო ძალა. როცა ერთობის, ერთად მოქმედების საჭიროება შეგნებულია, მას განხორციელება უნდა ცხოვრებაში, ამ ერთობას, ერთად სამოქმედო გამოსვლას მოწყობა უნდა, ე. ი. ორგანიზაცია ეჭირვება“.

საერთო მოქმედებას რომ ორგანიზაცია უნდა, ამას ვინ უარჰყოფს! განა ავტონომისტები წინააღმდეგნი არიან ორგანიზაციისა? განსხვავება ის არის, რომ თქვენ სხვა-გვარი ორგანიზაცია გნებავთ, ავტონომისტებს კი სხვა-გვარი. ძველ ეგვიპტეშიც იყო ორგანიზაცია, რომის იმპერიაშიაც იყო, მაგრამ ახლანდელი, კაპიტალისტური ორგანიზაცია სულ სხვა გვარია. რით განირჩევა თანამედროვე ორგანიზაცია ძველის ორგანიზაციისაგან? აი რით. ახლა ეკონომიური და პოლიტიკური სარბიელი გაფართოვდა. ყოველი კუთხე თანამედროვე სახელმწიფოსი იღებს მხურვალე მონაწილეობას საქვეყნო, საერთო საეკონომიო-საპოლიტიკო საქმეებში. თვითეულ კუთხეში არსებობს ფაბრიკები, ქარხნები, უნივერსიტეტები და სხვა სასწავლებლები, თვითეული კუთხე ჩაბმულია ცივილიზაციის ფერხულში. სატახტო ქალაქებმა დაჰკარგეს ძველებური უპირატესობა, დაბები გაიზარდნენ და დაემსგავსნენ სატახტო ქალაქებს. ცენტრმა დაჰკარგა მნიშვნელობა. აღარსად აღარ მოინდომა ქედის მოხრა სხვის წინაშე. თუ უწინ ერთი წოდება ბატონობდა, ამ წოდებამაც კიდევ უმცირესობა იყო გაბატონებული, დღეს მთელი ხალხი შეიქმნა თავისი-თავის ბატონი და აღარ აღიარა კერძო კრებული ბატონად. ბატონო ა. წულუკიძე, მიპასუხეთ, ნუ თუ ამით ერთობა უფრო არ გამტკიცდა? ნუ თუ პროლეტარიატმა ამით უფრო არ მიიღო ძალა?

თქვენ ცენტრალისტი ბრძანდებით, ე. ი. თქვენ აღიარებთ ერთის ცენტრის უპირატესობის საჭიროებას. ეს ცენტრი გაადარიბებს, გაასაწყლებს, ყოველ მხრივ დააქვეითებს პროვინციებს. ფაბრიკები, უნივერსიტეტები, ლიტერატურა, პოლიტიკური ცხოვრება, ყველაფერი ერთგან, ერთს ცენტრში მოიყრის თავს. პროვინციაში ცხოვრება მოდუნდება. როგორიღა ერთობა იქნება მაშინ? ეს იქნება მხოლოდ ერთობა მონობის ნიადაგზე, ე. ი. პროვინციები ყურ-მოჭრილ მონებივით აასრულებენ ცენტრის ყოველ-გვარ ბძანებას. ნუ თუ ამგვარი ერთობა განამტკიცებს პროლეტარიატის კავშირს? შეგნებული ერთობა შეიძლება იყოს მხოლოდ იქ, სადაც ერთი ცენტრი არ სჩაგრავს სხვა კუთხეებს. შეგნებული ერთობა არ შეიძლება იყოს იქ, სადაც არ არის თანასწორობა.

თქვენ ბძანდებით, ბ-ნო ა. წულუკიძე, მომხრე იმ დაძველებულ სოციოლოგიურ მოძღვრებისა, რომელიც კაცთა საზოგადოებას ორგანიზმად აღიარებს. ორგანიზმი მართლაც ისეა მოწყობილი, როგორც თქვენ გნებავთ მოაწყოთ საზოგადოება, ე. ი. კეთილშობილი ელემენტები მხოლოდ ერთ ცენტრში, ტვინშია თავმოყრილი, დანარჩენი ნაწილები სხეულისა კი ტვინს ემორჩილებიან. ჩვენ კი ღმერთმა გვაშოროს ამგვარი ორგანიზაცია საზოგადოებისა.

ინგლისის ცენტრალისტურმა პარლამენტმა ძირს დასცა ირლანდიის ეკონომიური მდგომარეობა. ერთ დროს ირლანდია სჯობდა ინგლისს მრეწველობის განვითარებით. მაგრამ ინგლისმა ხელოვნურად, უსამართლო კანონებით გზა შეუკრა ირლანდიის ვაჭრობას და ამგვარად ძირი გამოუთხარა მრეწველობასაც. ეს ამბავი დამამტკიცებელია იმისი, რომ პოლიტიკური მონობა ხელს უშლის ეკონომიურ განვითარებას. დღეს ირლანდია გაღატაკებული და დაბეჩავებულია. და, რასაკვირველია, ეს გარემოება ვერ შექმნიდა და ვერ განამტკიცებდა ერთობას ირლანდიისა და ინგლისს შორის. რომ ირლანდია თავისუფალი ყოფილიყო, ცხადია, უფრო განვითარებულიც იქნებოდა ყოველ მხრივ და უფრო რიცხვ-მრავალი, ძლიერი და შეგნებული პროლეტარიატი ეყოლებოდა. და ამგვარ პროლეტარიატის დახმარება, მასთან ერთობა ბევრად უფრო სასარგებლო იქნებოდა ინგლისის პროლეტარიატისათვის, ვიდრე ერთობა ახლანდელ უბადრუკ მიწის-მუშებთან.

ერთი რომელიმე სახელმწიფო რომ გაბატონებულიყო ევროპაში, ცივილიზაცია მოისპობოდა. ჯერ ერთი, ეს სახელმწიფო დასჩაგრავდა სხვა ერებს ისე, როგორც ინგლისმა დასჩაგრა ირლანდია. მეორე, მოისპობოდა ცილობა, კონკურენცია სხვა და სხვა ერებს შორის. კონკურენციის მოსპობას-კი მოჰყვებოდა ცხოვრების მიდუნება, შეჩერება. ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, იტალია ერთმანეთს ეცილებიან, ებრძვიან სამრეწველო და სამეცნიერო ასპარეზზე. ეს კონკურენცია ჰქმნის პროგრესს, ცილობა-კი შეიძლება იყოს მხოლოდ თანასწორ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის.

თუ ფართო ავტონომია მიენიჭა პოლონეთს, მალოროსსიას, ფინლიანდიას, საქართველოს, თათრებს, სომხებს და სხ., ამ ავტონომიურ ერებს შორის ფრიად ნაყოფიერი ცილობა გაჩნდება და პროგრესსი დიდის ნაბიჯით წავა წინ.

ბ-ნი ა. წულუკიძე ამბობს, რომ, თუ, მაგალითად, ერთი ერი უფრო ჩქარა განვითარდა, ვიდრე მეორე ერი, სჯობია, განვითარებულ ერის წარმომადგენლები ერთს პარლამენტში იმყოფებოდნენ განუვითარებელ ერის წარმომადგენლებთანაო, რადგან ამით მეტი ძალა მიეცემა პროგრესსიულ დასსაო. რატომ მიეცემა მეტი ძალა?! თუ-კი პარლამენტში საერთო

---

*) იხ. „მოგზაური“, 8 მაისი 1905 წელი.

*) ib. „ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები“.

ტფილისში. სატყეო დარაჯები დღევანდლამდე ჯამაგირებად იღებდნენ 18 მანეთამდე. დასასრულ კრებამ მოითხოვა დარაჯების კონებრივად უზრუნველ ყოფა.

◆ **ქართლ-კახეთის ეპარქიების სამღვდელოება** 28 მაისს შეიკრიბა ტფილისში და, ეკსარხოსის ნებართვით, 29 მაისს შეუდგა საქმეს. 29 და 30 მაისის სხდომები შეეხო სამღვდელობის დაცემულ მდგომარეობას. 31 მაისის სხდომაზედ, კარგა ხანს თათბირის შემდეგ, კრებამ მავნებლად სცნო სასულიერო სკოლებში ამჟამად გამეფებული სწავლის სისტემა, უარ-ჰყო იგი, როგორც ქართველ ხალხის გამაუკუღმართებელი პოლიტიკანობა, და დაადგინა დაიკეტოს ყველა სასულიერო სასწავლებელი სამრევლო სკოლიდან დაწყებული. უნდა დაიხუროს აგრეთვე სემინარიაც. კრებას სამღვდელოება კვირამდის განაგრძობს.

◆ **მაღაზია-დუქნების მოქირავენი განაგრძობენ გაფიცვას.** სავაჭროები თითქმის ყველგან დაკეტილია. ვაჭრებმა შეიმუშავეს თავიანთი მოთხოვნები: 1. მოისპოს გილდები და ყოველგვარი არა პირდაპირი სახელმწიფო გადასახადები. დაწესდეს პროგრესიული გადასახადი შემოსავლის კვალობაზე, მცირე შემოსავლიანი სრულიად განთავისუფლდეს ყოველგვარ სახელმწიფო გადასახადებისაგან; 2. შემცირდეს სავაჭრო მაღაზიების ქირა 50%-ით. აგრეთვე 50%-ით შეუმცირდეს ქირა იმ ვაჭრებს, რომელთაც შკაფები აქვთ; 3. იმ ვაჭრებს, რომელნიც სახლში მომუშავეებს სამუშაოს აძლევენ, აეკრძალოთ შრომის ფასის საქონლით მიცემა—მიეცეთ ფულად; 4. პოლიციელებს არ ჰქონდეთ ნება თეატრებისა და ცირკების ბილეთების ძალად გაყიდვისა; 5. აეკრძალოთ პოლიციელებს უფასოდ და ნისიად ყოველგვარ საქონლის წაღება; 6. ვაჭრების ნება დაურთველად შენობის პატრონმა დუქნები არ დააცლევინოს; 7, ერთმანეთ შორის ყოველგვარ საჩივრებისათვის სასამართლოს არ მივმართოთ; 8. მაღაზიების ქირა თვის ბოლოს მიეცეთ. ამასთანავე ვუერთდებით რუსეთის მოძრაობას და მოვითხოვთ: სიტყვის, გაფიცვის, კრებების, კავშირებისა და სინიდისის თავისუფლებას, პიროვნებისა და ბინის ხელ-უხლებლობას, დამფუძნებელ კრების მოწვევას, პირდაპირ, საყოველთაო, ფარულ, თანასწორ კენჭის ყრით განურჩევლად სქესისა და ეროვნებისა“.

გუშინ, 31 მაისს, დილით საბჭოს დარბაზში, გუბერნატორის ნება-რთვით, მოხდა ვაჭრების კრება. თავმჯდომარემ თავ. ჩერქეზიშვილმა აცნობა ვაჭრებს, გუბერნატორმა ნება დართო კრებას, დეპუტატები აირჩიოს. დეპუტატებს, გუბერნატორის წინადადებით, უნდა ეცნობებინათ, რას ითხოვენ ვაჭრები. კრებამ არ მოისურვა დეპუტატების არჩევა. ზოგმა განაცხადა, ჩვენ პირადად გვინდა მთავრობას ჩვენი გაჭირვება ვაცნობოთ და კარგი იქნება თვით მობრძანდესო. ვაჭრებმა ხელ-ახლა სთხოვეს თავ. ჩერქეზიშვილს ეშუამდგომლა, კრების მოხდენის ნება მისცენ დიდუბეში, საჯირითო მოედანზე. თავ. ჩერქეზიშვილი მეორედ იყო გუბერნატორთან, მაგრამ იმან ნება არ დართო. კრება დაიშალა და ვერავითარ გამორკვეულს აზრს ვერ დაადგა. გაჭირდა ქალაქში ცხოვრება. გარდა წყლისა და პურისა არაფერი იშოვება. ზოგგან პოლიციის ძალით მოინდომეს ვაჭრობის დაწყება, მაგრამ არა გამოვიდა-რა.

◆ როგორც **ერევნიდან ტფილისში მიღებულ დეპეშიდან სჩანს,** 29 მაისს სოფელ დორგალოუში ცეცხლი წაუკიდეს ოთხს თათრის სახლს. 30 მაისს, ღამიდან დაწყებული, ისმოდა სროლა. ამავე დღეს ორი სომეხი მოჰკლეს სომხებმავე ჩხუბში. როგორც ხმა დადის, ახლო-მახლო სოფლებში ექვსი თათრის სოფელი აუკლიათ, კამარლუსა და ახლო მახლო სოფლებში არეულობა და ცუდი ამბებია თურმე. 31 მაისს დილით ჩასულა შეიხ-ულ-ისლამი. შეგნებული სომხები და თათრები ბევრსა სცდილობენ, დაამშვიდონ ხალხი.

◆ **„ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ** ჩვეულებრივი ბაზრობა და სეირნობა გაიმართება 12 ივნისს „ბელვიუს“ ბაღში, ვერის ხიდის დაღმართთან.

◆ კვირას ავჭალის გარეთ და მცხეთაში, როგორც „ტიფ. ლის“. გადმოგვცემს, აუარებელ ხალხის თანადასწრებით, **მოხდა მიტინგები,** რომლებზედაც თათბირი ჰქონდათ ეხლანდელ დროის საქმეების ვითარებაზე. არა თუ სახალხო, საქონლის მზიდავი მატარებლებიც სავსე თურმე იყო ხალხით.

◆ როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამას წინად ამიერ-კავკასიის **რკინის გზის უფროსმა ბრძანება გამოსცა,** რომლის ძალითაც თუ ვინიცობაა რკინის გზის მოსამსახურე ავად გახდა, უნდა მივიდეს თავის უფროსთან და ნება აიღოს დაწოლისა და ექიმის მოწვევისა. მაგრამ, როგორც ეხლა ახალ ცირკულიარიდანა სჩანს, ამ უცნაურ ბრძანებას ნაყოფი ვერ გამოუღია. ახალის ცირკულიარით აღდგენილ იქნა ძველი წესი, ესე იგი ავადმყოფმა მოსამსახურემ ექიმს უნდა მიმართოს და არა უფროსო.

◆ როგორც გავიგეთ, ამ დღეებში ნამესტნიკის საბჭო, ზოგიერთ გარეშე პირთა და მოხელეთა თანადასწრებით, განიხილავს საკითხს ამიერ-კავკასიაში **ერობის შემოღების** შესახებ. განზრახვა აქვთ მოახდინონ ყოველ მაზრაში წარმომადგენელთა კრება და ამ კრებაზე მოიყვანონ თითო სოფლის საზოგადოებიდან ერთი ან ორი კაცი.

◆ **ხორცი გუშინ არც ქალაქის დუქნებში იშოვებოდა,** რადგან სალახები გაიქც-გამოიქცნენ და მუშაობას თავი მიანებეს. ამის გამო, ადმინისტრაციის განკარგულებით, ყასაბებს დააკვლევინეს ქალაქის საყასბოში 10 ნებიერი და 12 საათიდან ქალაქის დუქნებში უკვე იშოვებოდა ხორცი.

◆ ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო **ბანკის რწმუნებულთა კრებამ** სხდომა განაგრძო 30 მაისს. მთელი დღე იმაზე იყო კამათი, რომ განსახილველად დანიშნული საქმეები სხვა დროსათვის გადაიდოს თუ ეხლავე განიხილონ. კრებამ დაადგინა, ბანკზე დარჩენილ მამულების მართვის შესახებ ინსტრუქციისა და დამფასებელ კომისიისთვის შემუშავებულ ინსტრუქციის განხილვა გადაიდოს 2 კვირით.

◆ სენაკის მაზრის სოფელ ალესტის მცხოვრებთათვის ადგილობრივ ადმინისტრაციის წინადადება მიუცია **გადასცენ პოლიციას იარაღი.** ვისაც იარაღი აღმოაჩნდება, დაჯარიმებულ იქნება 5000 მანეთით.

◆ ტფილისის მაზრის კოდალოს სოფლის საზოგადოების მამასახლისს აცნობა გუშინ ტფ. მაზრის უფროსს, რომ სოფლელები უარს ამბობენ **გადასახადების განაწილებასა და გადახდაზე** და გვიბრძანეთ, როგორ მოვიქცეთო.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზიდან 31 მაისს **გაიგზავნა იმიერ ბაიკალის გზაზე** ოცდა ათი ტორმოზის კონდუქტორი, სამი საქონლისა და სამიც უფროსი კონდუქტორი.

◆ როგორც „ივერია“-ს ატყობინებენ, ბათუმში მანთაშოვის საზოგადოებას დაუდგენია, 2 ივნისიდან სრულიად **დაჰკეტოს ქარხნები.** როგორც ვუწყით, ბათუმში სხვა ქარხნები უკვე დაიკეტა.

◆ მაშუღის პატრონთ ად. ხატისოვმა და დამბაროვმა (მაშუღი ბაზარზედ) თავიანთ დამქირავებლებთან და მოიჯარადრე სესავესა და ბარკაიასთან ერთად მოილაპარაკეს და მაშუღის პატრონი შეთანხმდა შემდეგში: გაუქმდეს მოიჯარადრეებთან შეკრული პირობა, დაუბრუნოს ბეი, საქმე ამას იქით იქონიონ პირდაპირ დამქირავებლებთან და თვეში ათას მანეთის ნაცვლად, რომელსაც მოიჯარადრე უხდიდა მამაშუღეს, პირდაპირ დამქირავებლები გადაუხდიან შვიდას მანეთს თვეში.

◆ ტფილისის გუბერნიის საერო სკოლების დირექტორი გვთხოვს დაგვებეჭდოთ ჩვენს გაზეთში შემდეგი განმარტება: „ვინ იცის ვისგან გავრცელებული ხმები ტფილისის გუბერნიის პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებელთა განზრახულ კრების შესახებ მომავალ თიბათვის შვიდს (ერთ-ერთ სამოქალაქო სასწავლებლის შენობაში) უეჭველს საფუძველს მოკლებულია. ამასთან საჭიროდ ვრაცხ გამოვაცხადო, რომ არც ამ ჟამად და არც მახლობელ მომავალში მასწავლებელთა არავითარი კრება, ოფიციალურად ნება-დართული, არ არის განზრახული. რაც შეეხება რომელსამე ამ გვარ კერძო ყრილობას, იგი არ არის ნება-დართული არც ერთ სასწავლებლის შენობაში და არც არავის მოუმართავს ნებართვისთვის ჩემთან ან სხვა რომელსამე პირთან. გთხოვ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს განცხადება“.

◆ სად. ბათუმი. 30 მაისს, ღამის 2 საათზედ, ნატანებსა და სუფსა შუა ტყვია ესროლეს მატარებლით მიმავალ რკინის გზის ლიანდაგის ხელოსანს ჩემელოვს და დასჭრეს. ამავე მატარებლით დაჭრილი გაგზავნეს ბათუმის საავადმყოფოში, მაგრამ გზაში გადაიცვალა.

◆ სად. შორაპანი. 30 მაისს, დილის 1 საათზედ, რკინის გზის ასე ოცდა ათი ნაბიჯის მოშორებით წყალმა გამორიყა დამხრჩალ კაცის გვამი, თავის ქალა ახდილი აქვს და რამდენიმე ჭრილობა ეტყობა ტანზედ. მარტო პერანგის ამხანაგი აცვია.

◆ სად. კიათურა. 30 მაისს, შუადღის 12 საათზედ, მანევრების დროს, ვაგონების ქვეშ ჩავარდა მარგანეცის დამტვირთველი პარმენ კუპატაძე. დაშავებული საავადმყოფოში წაიყვანეს.

ტფილისის ქალაქის საქმეები

30 მაისს

ამ დღეს საბჭოს კრება დაიწყო საღამოს 10 საათზედ. საბჭომ პირველად განიხილა განცხადება ინჟენერ ხატისოვისა და ბრაილოვსკისა. ესენი თხოულობენ, სოლოლაკის გორის ქვეშ ტუნელის გაყვანისათვის გაანთავისუფლონ წლიურად 6000 მან. და ერთ ხანად 42,000 მანეთის გადასახადისაგან. საბჭომ მიიღო ამ საქმის შესახებ გამგეობის გადაწყვეტილება, რომ შუამდგომლობა უნდა აღიძრას, ეს ფული კონცესიონერებს არ გამოერთვათ.

როგორც ვწერდით, საბჭომ 5000 მანეთი გადასდო ერევნის გუბერნიაში სომეხ-თათრებს შეტაკების დროს დაზარალებულთა სასარგებლოდ. გუბერნატორმა დაამტკიცა ეს დადგენილება. და აცნობა გამგეობას, რომ ფული ქალაქმა გაუგზავნოს ერევანში გუბერნატორის თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიას. ხმ. თავ. ა. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვმა სთქვა, რომ გუბერნატორის განკარგულება კანონიერი მხრივ სამართლიანი არ არის, რადგან სენატს არა ერთხელ განუმარტავს, რომ გუბერნატორს შეუძლიან მხოლოდ ან დაამტკიცოს ან უარჰყოს საბჭოს გადაწყვეტილებაო. ხმოსანმა წინადადება მისცა საბჭოს, მიიღოს მხედველობაში გუბერნატორის მოწერილობის პირველი ნახევარი, უარჰყოს მეორე ნახევარი და დაავალოს გამგეობას ფული ისე მოახმაროს საქმეს, როგორც თითონ დაინახავს საჭიროდ. საბჭომ ერთხმად მიიღო თავ. არღუთინსკის წინადადება.

წვრილმან საქმეთა შორის საბჭომ ერთი პატარა, მაგრამ დამახასიათებელი, საქმეც განიხილა. ამ საქმიდან სჩანს, რომ ქალაქის გამგეობის ზოგიერთი უფროსი მოხელე თვითნებობს და სამწუხაროა, რომ გამგეობა ისეთ საქციელს ანგარიშს არ უწევს. ქუჩების განათების უფროსი ზედამხედველს ლალაიანცს მოუსურვებია მუშათა ერთ უბნის მეთვალყურის გიორგი ჩიტაშვილის სამსახურიდან გაძევება და გამგეობისთვის უცნობებია, ჩიტაშვილი გარყვნილი კაცია და სამსახურიდან დაითხოვეთო. გამგეობას არც აუღია, არც დაუდია და, ლალაიანცის სურვილისამებრ, ჩიტაშვილი დაუთხოვნია. ჩიტაშვილს თავის სახელის აღსადგენად სასამართლოსათვის მიუმართავს, სადაც ლალაიანცი გამტყუნებულა. ამის შემდეგ ჩიტაშვილს გამგეობისათვის უთხოვნია, მართალი ვარ, ლალაიანცმა ცილი დამწამა, ლუკმა პური ნუ გამწყვიტეთ და ადგილი ისევ დამიბრუნეთო. გამგეობას უთქვამს, მოიცადე, ადგილი გამოჩნდება და მოგცემთო. ჩიტაშვილს, რადგან სხვა სახსარი არა ჰქონია, კიდევ უთხოვნია ჯამაგირი დამიბრუნეთო. გამგეობას მხოლოდ შემწეობა აღმოუჩენია. ჩიტაშვილმა საბჭოს მიმართა მაგრამ საბჭოში, ხმ. ხომლელიშვილის გარდა, კრინტიც არავინ დაძრა და დაადგინა, მხოლოდ 50 მანეთით აღმოუჩინოს შემწეობა.

ფოთში გურულ-მეგრელ მუშათა შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების გამო

ღია წერილი ბ-ნ ბენია ჩხიკვიშვილს.

როგორც ჩვენის გაზეთების მკითხველთ მოეხსენებათ, ქ. ფოთში მეგრელ და გურულ მუშათა შორის, სამწუხაროდ, უთანხმოებამ იჩინა თავი. საქმეში გარეშენი რომ არ ჩარეულიყვნენ, და მეზობელზე ამრეზილი მეზობელი არ დაემშვიდებინათ, ეს უთანხმოება, შესაძლებელია, სისხლის ღვრით გათავებულიყო.

26 მაისს ბათუმში, მთავრობის მიერ ნება-დართულ საჯარო ყრილობაზე, ერთმა ორატორმა, ბ-ნმა ბენია ჩხიკვიშვილმა, თავისს სიტყვაში აღნიშნა ამ უთანხმოებას ამბავი და დაახლოვებით შემდეგი სთქვა: „ერთმა პარიზში ნასწავლმა ქართველმა ნაციონალისტმა ფოთში მეგრელ მუშებს აუხსნა, თქვენ სხვა ხალხი ხართ და სხვა ინტერესები გაქვთ, გურულები-კი სხვები არიან და სხვა ინტერესები აქვთ; ფოთი მეგრელების ქალაქია და თქვენ, მეგრელებს, უფლება გაქვთ გურული მუშები გარეკოთ აქედან. აი, გურულ-მეგრელ მუშათა უთანხმოება ამ ნაციონალისტმა დაჰბადა, ამან გადაჰკიდა ერთმანეთს გურულები და მეგრელებიო. ბიუროკრატიაც ხომ იმასა სცდილობს, სხვა და სხვა ეროვნებანი ერთმანერთს მიუსიოს, ძმას-ძმის სისხლში შეაღებინოს ხელი და თვითონ-კი შორიდან სეირს უყუროს?.. აი, ამ ბიუროკრატიას, ასეთს ბნელს ძალას, მხარს აძლევს ეს ნაციონალისტიც! ეს ძმათა შორის სიძულვილის დამთესველი კაცი ეკუთვნის იმ პარტიას, რომელიც საქართველოს ავტონომიას ჰქადაგებს. აშკარაა, თუ რა მავნებელნი ყოფილან მუშათა ინტერესისათვის ეს პარტია და მისნი მიმდევარნი! ამიტომ ძირს ასეთი პარტია, რომელიც ბიუროკრატიას მხარში ამოსდგომია და მისს მისწრაფებას ხელს უწყობს!.. ძირს ავტონომია! ბრძოლა მაგათთ“!..

თქმა არ უნდა, ყველა აღშფოთდება, როცა გაიგებს არსებობას ძმათა გათიშვის აზრების მქადაგებელ ადამიანისას; უმეტესად აღსაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ეს ადამიანი ავტონომისტთა პარტიას ეკუთვნის და თავისის უგვანის საქციელით მთელს პარტიის სახელს უტეხავს და წაუშლელ ჩირქსა სცხებს. საჭიროა საზოგადოებამ ასეთის ადამიანის ვინაობაც იცოდეს, რომ საძარცხვინო ბოძზე გააკრას, სამოქმედოდ ხელ-ფეხი შეუკრას და მისთა სულმდაბალ მისწრაფებათა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღოს.

ბატონო ბენია ჩხიკვიშვილო! გვინდა ვიწამოთ, რომ თქვენ ეს ამბავი საზოგადოების ინტერესისადმი ერთგულებამ გამოგაამჟღავნებინათ. და როგორც საზოგადოების ერთგულს კაცს, არ უნდა გაგიკვირდეთ, თუ იმავე საზოგადოებამ მოგთხოვოთ დაკმაყოფილება თვისის სრულიად კანონიერის ცნობის მოყვარეობისა: დაუსახელეთ მუხანათი და თანაც წერილობით დაამოწმეთ 26 მაისს თქვენ მიერ თქმული და ამ წერილში აღნიშნულ სიტყვების სინამდვილე, რისთვისაც გთხოვთ ჩვენი გულწრფელი მადლობა წინდაწინვე მიიღოთ.

თ. სახოკია.

რუსეთის ქრონიკა

საყოველთაო სავალდებულო სწავლა. სახალხო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს შემოიღოს რუსეთში საყოველთაო სავალდებულო უფასო პირველდაწყებითი სწავლა; მაგრამ, რადგან ამ განზრახვის განხორციელებას დიდი ფული დასჭირდება

რიცხვი შეუგნებელ დეპუტატებისა მეტი იქმნება, მაშინ ეს შეუგნებელი ნაწილი ხომ სახელმწიფოს აღარც ერთს ნაწილს აღარ დააყენებს თავისუფალ განვითარების გზაზე, ხომ თანასწორად შეხუთავს და შებოჭავს ყველა ნაწილებს. რატომ უნდა შეუშალონ ხელი განვითარებულმა ერებმა განუვითარებლებს?! დეე, თვითეული ერი განვითარდეს თავისუფლად. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქმნება შესაძლებელი საერთო წინ-სვლა. ჩამორჩენილი ერი ძალაუნებურად მიჰყოფს ხელს თავის განვითარებას, როდესაც დაინახავს მეზობელ ერის წარმატებას და უპირატესობას, დაწინაურებული ერი განავითარებს თავის მაგალითით ჩამორჩენილებს. აი ეს იქმნება მიზეზი, სტიმული ჩამორჩენილ ერების განვითარებისა, და ამ მხრივ ეს სტიმული, რასაკვირველია, ბევრად უფრო ძლიერი იქმნება, ვიდრე „საპარლამენტო კათედრაზე ქადაგება ორიოდე შეგნებულ დეპუტატისა.

რაც უფრო ბევრია ავტონომიური ერთეული, მით უფრო ბევრია სოციალ-პოლიტიკური ცდა და ცვლილება. ევროპაში ძლიერ ეშინოდათ გაეთანასწორებინათ პოლიტიკურად ქალები მამაკაცებთან. თვით გლადსტონიც-კი იმ აზრისა იყო, რომ ქალები ბუნებრივად კონსერვატორები არიანო. სოციალურმა ცდამ არ გაამართლა ეს აზრი. პატარა „ახალმა ზელანდიამ“ მიანიჭა ქალებს პოლიტიკური უფლებანი და ამას შედეგად მოჰყვა ჰუმანური, კეთილ-მოყვარე კანონმდებლობა. აგერ ახლა ავსტრალიაში ქალებმა გამარჯვება მიანიჭეს მუშათა დასს. დღეს ქალების პოლიტიკურ გათანასწორების სარგებლობა სავსებით ჭეშმარიტებად გამხდარა მთელ განათლებულ კაცობრიობისათვის. რომ ხსენებულ ქვეყნებს ავტონომია არა ჰქონოდათ, რომ მიჯაჭვულნი ყოფილიყვნენ პოლიტიკურად მეტროპოლიასთან, ინგლისთან, ცხადია, დღეს იქაური ქალებიც ისეთ მონურ მდგომარეობაში იქმნებოდნენ, როგორც ინგლისში არიან, და ქალთა საკითხი დღესაც გაურკვეველი იქმნებოდა კაცობრიობისათვის. ამგვარად, პატარა ავტონომიურმა „ახალმა ზელანდია“-მ აუარებელი სარგებლობა მოუტანა კაცობრიობას. „ახალი ზელანდია“-კი, მეტროპოლიასთან მიჯაჭვული, სრულიად უმნიშვნელო იქმნებოდა. აქედან ცხადია, რომ ავტონომია ჰქმნის ერთობის გარდა პროგრესს, ცენტრალიზმი ჰქმნის მხოლოდ მტრობას და ეგახ ჩამორჩენას.

რომ ავტონომია მოგვეხმაროს, ჩვენი საკუთარი მთავრობა ტაქსებს გაადიდებს და უცხოეთიდან კარგ საქონელს აღარ შემოუშვებს ჩვენში, ამბობს ბ-ნი ა. წულუკიძე, თუმცა ამ აზრის დასამტკიცებლად არავითარი საბუთი არ მოჰყავს. ან კი რა საჭიროა საბუთი იმ კაცისათვის, რომელსაც თავისი თავი წინასწარმეტყველი ჰგონია. არა, ბ-ნო ა. წულუკიძევ, ახლა რომ ბაჟებია, ამაზე მეტი შეუძლებელია. მთელი თანამედროვე რუსული ლიტერატურა ამას დადებს. რომ შესაძლებელიყო, კიდევ გაადიდებდნენ ბაჟებს, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. ვერც ერთი ქვეყანა ვერ გაადიდებს ბაჟს განუსაზღვრელად, რადგან მაშინ უცხო ქვეყნებიც მითვე გადუხდიან. ჩვენ თუ ნება გვექნა უცხო საქონელზე ბაჟების დადებისა, ცხადია, ძლიერ შეღავათიანი ბაჟები დაედება ამ საქონელს. ჩვენი ერის უმეტესობა სოფლელთაგან შესდგება. სოფლელთათვის კი სასარგებლო იქმნება ბაჟების შემცირება საქარხნო ნაწარმოებზე. დღეს კი ცენტრის ბურჟუაზია არ უშვებს ჩვენში საზღვარ-გარეთულ საქონელს, რომ თავისი უვარგისი საქონელი გაასაღოს. მასთანვე ცენტრის ბურჟუაზია არ აძლევს ნებას უცხოეთელ კაპიტალისტებს გადმოიტანონ ჩვენში თავისი კაპიტალები. ჩვენი ცენტრის ბურჟუაზიას კი ამისათვის არც საკმაო თანხა მოეპოვება და არც ცოდნა და გამოცდილება. ჩვენი ერის უმეტესობა უთუოდ მოიპატიჟებს უცხოელ კაპიტალისტებს. კავკასია გადაიქცევა მდიდარ სამრეწველო ქვეყნად. ქვეყანა გამდიდრდება და განათლდება. გაუწყვეტელის კავშირით გადავებმით ევროპას. ჩვენი ერი შეუერთდება ევროპის ერებს, ჩვენი პროლეტარიატი ევროპის პროლეტარიატს.

პირიქით, თუ ავტონომია არ გვექნა, ჩვენი განვითარების საქმე ძლიერ შეფერხდება. ვერც სიმდიდრე გაიზრდება და ვერც მეცნიერება აჰყვავდება. ერი დაბეჩავებული, დაჩაგრული დარჩება და პროლეტარიატიც სუსტი, უძლური და რიცხვმცირე იქმნება. ევროპას ვერ დავუახლოვდებით, ისევ აზიაში ვიქნებით ჩაფლული.

აი საით წაგვიყვანს ის გზა, რომელსაც ადგია „მესამე დასი“.

ბ-ნ ა. წულუკიძეს არ უნდა, რომ „ქართველმა მუშამ საქართველოს განთავისუფლებისათვის ერთ პარლამენტში გასწიოს ბრძოლა, სომეხმა, მეორეში“, თათარმა მესამეში და სხ. რატომ? ის არა სჯობია, რომ ხმა სამართლისა ყველგან ისმოდეს, პოლიტიკური ცხოვრება ყველგან სდუღდეს, ბრძოლა ყველგან არსებობდეს? ნუთუ ის უფრო კარგი იქნება, რომ მთელი იმპერია ძილად იყოს მივარდნილი და მარტო პეტერბურგში იქმნეს მოთავსებული პოლიტიკური ცხოვრება?

ავტორი იმოწმებს ბაქოში მომხდარ შემაძრწუნებელ ამბებს ეროვნულ ავტონომიის წინააღმდეგ. მაგრამ, კარგად მოგეხსენებათ, ჯერ ჩვენში ავტონომია არ ყოფილა. არა, ბატონო, მიზეზი ავტონომია კი არ არის, ის ცენტრალიზმია, რომელმაც უმეცრება გაამეფა ხალხში. ავტონომია მიანიჭებს ხალხს განათლებას და მოსპობს, მაშასადამე, ერთა შორის დამამხობელ მტრობას.

ერთი რამ არის კიდევ საკვირველი: ავტორის აზრით, ავტონომიის პრაქტიკა, შინაარსი, ისეთია, რომ ეწინააღმდეგება ბრძოლას, ავტონომისტების იარაღი მარტოდ-მარტო მოთხოვნაა, სხვა არაფერი. მაგრამ რა არის საერთო ავტონომიის შინაარსსა და მოთხოვნას შორის? ცხადია, არაფერი. ამის შესახებ მეტის თქმა საჭიროდ არ მიმაჩნია.

დაგვრჩა განსახილველი ერთი დიდი საკითხი, რომელსაც ასე აბუჩად იგდებენ „დასელები“. ეს გახლავთ სასკოლო საკითხი საზოგადოდ და საკითხი დედა-ენაზე სწავლების შესახებ კერძოდ. როგორც ყველაფერში, ამ საკითხის გადაწყვეტაშიაც ერთსა და იმავე რეცეპტს გვაწოდებენ „დასელები“. საჭიროა შეერთებაო, ბრძანებს ა. წულუკიძე, „საერთო მოძრაობიდან გამოთიშვა ზღუდავს, ასუსტებს გონებრივ ვითარებასო“. თუ ავტონომია არ გვექნება, „ერთმანეთში საზოგადოებრივ კითხვებზე საუბრის ინტერესი“ მეტი იქნება და დედა-ენაც უფრო განვითარდებაო. აი სოფიზმიც ასეთი უნდა! რამდენიც უნდა ეცადოთ, ბ-ნო წულუკიძევ, ვერ დაამტკიცებთ, რომ ავტონომია „გამოთიშვას“ მოასწავებს. პირიქით, როგორც ზემოდ დავამტკიცეთ, ავტონომია მოასწავებს კავშირს მსოფლიო პროლეტარიატთან და, რასაკვირველია, სრულიადაც არ ეწინააღმდეგება „საზოგადოებრივ (!) კითხვებზე საუბარს“.

სასკოლო საკითხი კი სრულიად არ არსებობს ა. წულუკიძისათვის. ალბად, ჰგონია, რომ სკოლა მარტო ბურჟუაზიისთვის არის საჭირო. მუშას ეჭირვება მხოლოდ სამუშაო დღის შემცირება, სამუშაო ქირის მომატება და ბინის გაუმჯობესება. ვინ იცის, ყველაფერს ამას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს მუშის ყოველმხრივ განვითარებისათვის. ავტონომიაც, ცხადია, არ უარჰყოფს, პირიქით, ხელს უწყობს მუშის მდგომარეობის გაუმჯობესებას. მხოლოდ ავტონომისტების ფიქრით, ამას კიდევ უნდა დაემატოს სკოლა. თხუთმეტ წლამდის სავალდებულო უნდა იყოს ყველასთვის სკოლაში სწავლა. უამისოდ ხალხი ვერ განათლდება. საფუძველი სწავლისა თხუთმეტ წლამდინ უნდა იქმნეს ჩაყრილი. მხოლოდ მას უკან იქმნება შესაძლებელი თვით განვითარება. მარტო ერთმანეთთან საუბარი არა კმარა. სხვა არა იყოს-რა, ბუნების მეტყველება როგორ გინდათ შეისწავლოთ ერთმანეთთან საუბრით! იქნება გგონიათ, რომ ბუნების-მეტყველება სრულიადაც არ იყოს საჭირო მუშისთვის?! თუ მეცნიერების წინააღმდეგიც ამხედრდით, არა მგონია ამ მეოცე საუკუნეში ბევრი იშოვოთ მიმხრე.

რომელ ენაზე უნდა იყოს სწავლება?. თქვენ ამ საკითხს კანზე სტოვებთ. ამგვარი საქციელი უთუოდ შეუწყნარებელია. სჩანს, ვერ ბედავთ პირდაპირ აღიაროთ თქვენი რწმენა.

სწავლება უნდა იყოს უთუოდ დედა-ენაზე. თუ უცხო ენაზე იქნა სწავლება, თხუთმეტის წლის მოსწავლეს არც ქართული ეცოდინება, არც უცხო ენა, არც საგნები. რვა წელიწადი, საუკეთესო დრო, ტყუილად დაეკარგება. მეცნიერების საფუძველს ვერ შეითვისებს და მერე ხომ სამუდამოდ გამოეთხოვება მეცნიერებას. ნუგეშად ის არ ეყოფა, ბ-ნო ა. წულუკიძევ, რომ საზოგადო საქმეებზე ისაუბროს, მით უფრო, რომ ეს საუბარი არ იქმნება გაბრწყინებული მეცნიერების შუქით.

ამას გარდა საჭიროა უმაღლესი, საუნივერსიტეტო სწავლაც დედა-ენაზე იყოს დაფუძნებული. მაშინ მუშა უფრო ადვილად დაუახლოვდება მეცნიერებას. საჭიროა სახალხო უნივერსიტეტი, რომელშიაც, ცხადია, დედა-ენაზე უნდა იყოს სწავლება. მხოლოდ ამ შემთხვევაში გვეყოლებიან ედისსონები.

დიაღ, მუშამ იმ ენაზე უნდა ისწავლოს, რომელ ენაზედაც ლაპარაკობს, თუ არა და, მთელი მისი სიცოცხლე უსწავლელი დარჩება. უცხო ენის შესწავლა, როგორც საგნისა, არასოდეს არ არის დაწუნებული. ბუნებისა და ცხოვრების შესწავლის წყურვილი კი ადრე ეღვიძება ბავშს. არ უნდა გადავუღობოთ გზა ამ ბუნებრივ კეთილშობილ წყურვილს, ცნობის მოყვარეობას. უნდა დავაკმაყოფილოთ ეს წყურვილი, მივაწოდოთ ბავშს რეალური ცოდნა, არ უნდა მოვაცდინოთ მისი ნორჩი ტვინი უცხო სიტყვების დაზეპირებით. უცხო ენები უნდა შეისწავლოს, როგორც კერძო საგნები, რომ ბოლოს საქვეყნო მეცნიერებასაც დაეწაფოს, გაეცნოს.

მაშასადამე, დედა-ენაზე სწავლება აუცილებლად საჭიროა მუშა ხალხისთვის. უამისოდ იგი თავის დღეში ვერ მიაღწევს იმ გონებრივ განვითარებას, რასაც მიაღწია ევროპის მუშა-ხალხმა.

ახლა ვიკითხოთ ცენტრალისტური პარლამენტი მიანიჭებს თუ არა ყოველ ერს ეროვნულ სკოლას. ცხადია, არა. რადგან ცენტრი თავის თავს არ უარ-ჰყოფს, თავის უპირატესობაზე ხელს არ აიღებს.

დედა-ენაზე სწავლების უფლება გვექმნება მხოლოდ მაშინ, როდესაც გვექმნება ავტონომია. ის აზრი, რომ ავტონომია არ არის საჭირო მუშა ხალხისთვისაო, ყოველ საფუძველს მოკლებულია. პირიქით, ავტონომია აუცილებელია ხალხის ყოველ მხრივ განვითარებისათვის. მხოლოდ მკვდარი ერი უარ-ჰყოფს ავტონომიას!

ვასილ წერეთელი.

და ხაზინას კი ამ დიდ ფულის გაღება არ შეუძლია, სამინისტრო ფიქრობს მოუმატოს სწავლის ფასს საშუალო და მაღალ სასწავლებლებში: საშუალოში 100 მანეთი იქნება სწავლის ფასი და მაღალში—300 მან. ამ ამბავს გვატყობინებს გაზეთი „სლოვო"; „ნოვოსტი" კი სწერს, რომ სახელმწიფო საბჭოში შეტანილია პროექტი, რომლის ძალით სწავლის ფასი მაღალ სასწავლებლებში 500 მანეთი უნდა იქნესო. ამ ღონისძიებით არა სასურველ ელემენტებს (ღარიბებს) მოვაშორებთ უნივერსიტეტებსო.

სასულიერო წოდების ადგილ-მამული და უძრავი ქონება აქამდე თავისუფალი იყო გადასახადებისაგან. ეხლა განზრახვა უნდა ჰქონდეთ ამათაც გააწერონ გადასახადები, რისთვისაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოითხოვა ცნობები შესახებ სასულიერო წოდების ადგილ-მამულისა და სხვა უძრავ ქონებისა. („რ. ს.").

ახალი სესხი. ამ მოკლე ხანში რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებმა ისევ განაახლეს მოლაპარაკება საფრანგეთის ბანკებთან იმ სესხის შესახებ, რომელზედაც ამას წინად უარი უთხრეს კაპიტალისტებმა. ბანკები დასთანხმდნენ სესხის მიცემაზედ ძველის პირობებით (5% და 8 წლის განმავლობაში ვალის ამორტიზაცია). მაგრამ მოვიდა თუ არა ცუსიმას ბრძოლის ამბავი, მოლაპარაკებაც შესწყდა: ეხლა სესხის გაცემა შეუძლებელი არისო. ამავე აზრისაა საფრანგეთის მთავარი მინისტრი რუვიე: სულ სხვა საქმეა, თუ ზავი ჩამოვარდება—მაშინ სესხი დაუყოვნებლივ მოხერხდებაო. („ნ. შ.").

პოლიტიკური საქმე. ნოვოჩერკასკის სასამართლო პალატაში განუხილავთ რამდენიმე პოლიტიკური საქმე, მათ შორის როსტოველ ჟურნალისტის ვარაბიოვისა. ვარაბიოვს აბრალებდნენ სოციალ-დემოკრატიულის პარტიის პროკლამაციის შედგენას. ბრალდებული არ უარ-ჰყოფდა პროკლამაციის შედგენას. პალატამ ვარაბიოვი გაამართლა. („რ. ვ.").

ვილნოს სასამართლოს პალატამ განიხილა საქმე ანნა ბორიშნიკისა, რომელსაც სარევოლიუციო ორგანიზაციის წევრობა ჰბრალდებოდა.

ბორიშნიკი დაატუსაღეს ჯერ კიდევ 1902 წლის გაზაფხულს და სატუსაღოში დაჰყო 16 თვე; განთავისუფლების შემდეგ პოლიციის მხედველობის ქვეშ იყო მიცემული 2 წლით. 1903 წლის ნოემბერში მეორედ დაიჭირეს ვილნოში და ერთ წელზე მეტი იჯდა საპატიმროში. ბრალდებულმა გამოუცხადა მოსამართლეებს—უარს ვამბობს თავის დაცვაზე, სანამ სამართალი საჯარო არ იქმნება და მოსამართლეები ხალხისაგან არჩეული; რასაც მაბრალებთ, დანაშაულად კი არა, მოქალაქობრივ მოვალეობად მიმაჩნია. სასამართლოს თავმჯდომარემ სიტყვა გააწყვეტინა ბრალდებულს და დაემუქრა, თუ ეგრე განაგრძობთ ლაპარაკს, სასამართლოს დარბაზიდან გაგაგდებო. ბორიშნიკმა მოითხოვა—თავისუფლათ მალაპარაკეთო. მოსამართლენი სათათბიროდ გავიდნენ მეორე ოთახში და გადასწყვიტეს რამდენიმე კითხვა მიეცათ ბრალდებულისათვის საქმის გამოსარკვევად. მაგრამ ბრალდებულმა არ ისურვა ამ კითხვებზე პასუხის გაცემა. სასამართლომ წელიწად-ნახევარი ციხე მიუსაჯა ბორიშნიკის ქალს. ამ სასჯელიდან ³/₂ მანიფესტით ეპატია. („ნოვ.").

ს. ი. ვიტტეს, მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს, 25 წლის სახელმწიფო სამსახურის შესრულების დღეს, აძლევენ ახალს, უფრო მაღალ დანიშნულებას, სახელდობ—სახელმწიფო კანცლერობას. ამ დანიშვნას კავშირი აქვს იმ სამმართველო ცვლილებასთან, რომელიც უნდა მოხდეს ამ დღეებში. („ნ. შ.").

კუნძულ ცუსიმასთან მომხდარ ბრძოლის გამო დიდი უკმაყოფილებაა თურმე პეტერბურგის მუშებ შორის და მოსალოდნელიც არის, და ამ უკმაყოფილებამ გაფიცვა გამოიწვიოს. („ს. ო.").

სასულიერო წოდებას, როგორც ისმის, სრულიად მოუსპობენ ჯამაგირსა და პენსიას ხაზინიდან; ეპისკოპოსები მონასტრებმა უნდა შეინახონ და მღვდელი, მრევლმაო. მთავრობის ამ განზრახვას უკავშირებენ იმ მოძრაობას, რომელმაც ამ ბოლოს დროს თავი იჩინა სასულიერო წოდებაშიო. („ნოვ.").

ცუსიმასთან მომხდარ ბრძოლის შემდეგ პეტერბურგის ერთ რესტორანში (ერნესტი) სადილობის დროს წამომდგარა ერთი ფრაკში გამოწყობილი კაცი და მხურვალე სიტყვა წარმოუთქვამს და, სხვათა შორის, დიდი გულის წყრომა და აღშფოთება გამოუცხადებია იმათთვის, ვინც შორე აღმოსავლეთის უბედური ომიანობა გამოიწვია. სასადილო ოთახში ბევრი ოფიცრობა ყოფილა. ამ სიტყვის შემდეგ ჯარდის ოფიცრობა წასულა რესტორანიდან, ზღვის ოფიცრებს კი სრული თანაგრძნობა გამოუცხადებიათ ორატორისათვის. („ნ. შ.").

პოლიციის დეპარტამენტი ჰგზავნის რამდენსამე მოხელეს ინგლისს, გერმანიას, იტალიასა და საფრანგეთში საიდუმლო პოლიციის ორგანიზაციის გასაცნობად. („ს. ო.").

წერილები

ს. დიდი თონეთი (ტფილისის მაზრა). უკვე მოხსენებული იყო „ცნობის ფურცელში", რომ სოფელმა ორი დეპეშა გაუგზავნა მაზრის უფროსს და სთხოვა თითონ მოსულიყო, რომ აქაურს საზოგადოებას წარედგინა მოთხოვნილებანი. 29 აპრილს მოვიდა კიდეც მაზრის უფროსი თონეთში და წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნილებანი: 1. რადგან ადგილ-მამულის სივიწროვე ნებას არ გვაძლევს გავაფართოვოთ მეურნეობა, ვსთხოვთ მთავრობას მოგვიზომოს ის სახაზინო მამული, რომელიც ჩვენზე სამხრეთ არის და ჩვენ მამა-პაპას სჭერია, ეგრედ წოდებული „ხოზეთი", რომელიც ეხლა მანგლისის საზოგადოების გლეხებს უჭირავთ; 2. მიეცეს ყველა მეკომურს ნება უფასოდ გამოიტანოს მასალა შენობისთვის და საწვავად სახაზინო ტყიდან: 3. თუ ვინიცობაა მემამულეების საერთოდ გადაწყდა, ყოვრიანთ და ბარათიანთ მამულების დაჭერაზედ უპირატესობა სოფ. დიდ-თონეთს ეკუთვნის; 4. რომელი მეკომურიც მოისურვებს ერთი ოჯახიდან მეორეში გადასვლას, მოვალე ხდება სახლ-კარის ადგილი სასოფლოდ დასტოვოს და იმის ზომისა სხვაგან მიეზომოს, ხოლო მიეცეს ნება შენობის გაყიდვისა; 5. მიეცეს ჩვენ ხალხს საშუალება, რომ სახელმწიფო საგლეხო საადგილ-მამულო ბანკის დახმარებით შეიძინოს მამულები; 6. რადგან ჩვენ შევიწროვებულნი ვართ უმამულობით, მოისპოს გადმოსახლება ჩვენ მიწა-წყალზე შიდა რუსეთიდან გლეხებისა; 7. მიეცეს ს. თონეთს პირდაპირ საოლქო საინჟინერო მმართველობისაგან ყოველივე ქვის საქმე, გარდა ხიდებისა, რაც კი საჭირო არის ტფილის—მანგლისის გზა-ტკეცილისათვის სიგრძით თოთხმეტ ვერსტისა, ესე იგი, რაც სიგრძე აქვს მთელ დიდ თონეთის მამულს; 8. რადგან ჩვენი ხალხი ცოდნით უკან არის ჩამორჩენილი, დაარსებულ იქმნას სახაზინო ხარჯით სკოლა სამეურნეო და სატეხნიკო განყოფილებებით, ამასთან ყოველ საგნის სწავლა სწარმოებდეს ქართულ ენაზე; 9 მიეცეს ნება სასოფლო სკოლის ყველა მოსწავლეს სკოლის დასრულების შემდეგ უეგზამენოდ შესვლისა ყველა საშუალო სასწავლებელში; 10. პირველ დაწყებითი სწავლა ყველასათვის სავალდებულო და უფასო იყოს, განურჩევლად სქესისა 15 წლამდე; 11. ყოველი სიტყვიერი და წერილობითი საქმის წარმოება სასამართლოებში სწარმოებდეს ქართულ ენაზე; 12. მოსპობილ იქმნას წოდებრივი, ეროვნული და სარწმუნოებრივი გარჩევა და ყველანი თანასწორნი იყვნენ კანონის წინაშე; 13. მოისპოს ჩარჩობა; 14. ფულის სარგებელი არ უნდა აღემატებოდეს 12%-ს, 15. ყველა პირმა, განურჩევლად წოდებისა და ხელობისა, თანაბრად უნდა გაიხადოს სახელმწიფო ხარჯი; 16. ყველა წევრს საზოგადოებისას, არა ნაკლებ 21 წლისა, სრული, ნება აქვს მოსთხოვოს როგორც აწინდელს, ისე მომავალ მოხელეს სრული ანგარიში სოფლის შემოსავალ-გასავლისა; 17. სამხედრო სამსახურში გაწვეულ პირთა ჯანმრთელობისათვის და სიცოცხლის დასაცველად ვთხოულობთ სალდათები დანიშნულ იქმნენ სამსახურში ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში და სამსახურის ვადა ორ-წლამდე შემცირდეს; 18. სოფელი არ მიიღებს მონაწილეობას იმ ხარჯში, რომელიც ხდება სოფლის მოხელეებისაგან სხვა და სხვა ეგრედ წოდებულ „ჩინოვნიკებზე"; 19. დაუბრუნდეს სოფელს ამბრის ფული და დაარსდეს იმ ფულით კასსა, საიდანაც ყველა ღარიბ გლეხს შეძლება მიეცემა ისესხოს ფული მცირე სარგებლით; 20. ქვა და ქვიშა, რაც კი საჭიროა საკუთარ შენობისთვის, მუქთად უნდა დაეთმოს გლეხს; 21. დაარსდეს სოფ. დიდ-თონეთში სახელმწიფო ხარჯით საავადმყოფო; 22. რადგან დუქანი ხდება რაღაცა ქრთამის საშუალებად, აკრძალულ იქმნას სოფლის მოხელეებისათვის დუქანში საქმეზე ლაპარაკი; 23. მოისპოს ყოველი არა პირდაპირი გადასახადი; 24. ყოველი ჩვენგან ამორჩეული მოხელე ჩვენვე შეგვეძლოს დაუყოვნებლივ გადავაყენოთ, თუ იგი უვარგისი გამოდგა; 25. რადგან საერობო დარაჯებზე გასავალი დიდია და სარგებლობა-კი არაფერი, გაუქმებულ იქმნას საერობო დარაჯობა.

მაზრის უფროსის დასწრებით ერთ ხმად იქმნა ამორჩეული ახალი მამასახლისი, მოსამართლეები და ხაზინადარი. ამასთან მოისმინა მაზრის უფროსმა ძველ მამასახლისის ანგარიში და ვალად დაედო 507 მანათი. აქ ორი დღე დარჩა მაზრის უფროსი და მრავალი სხვა კერძო საჩივრები მოისმინა.

მეგრელი

წერილი რედაქციის მიმართ

ოც მაისს, პარასკევს, ს. ქვემოჩაქოზს ესტუმრა გორის მაზრის თავად-აზნაურთა მიერ შემდგარი რაზმი, ასე 300 კაცამდე. როგორც ეტყობოდა, რაზმს სურდა გაეცნო აქაური გლეხებისთვის თავისი პროგრამმა. მოსვლისათანავე გაიგზავნა სოფლის უბნებში შიკრიკები, რომელნიც იწვევდნენ გლეხობას თავ. დავით წერეთლის სახლში მოსალაპარაკებლად. ერთი ამ შიკრიკთაგანი იყო თვით თავ. წერეთელი, როგორც ადგილობრივი მცხოვრები, მცოდნე და მცნობი აქაურის ხალხისა. გლეხობას უმისოდაც არა სასიამოვნო ხმები ესმოდა ამ რაზმზედ და, აბა წარმოიდგინეთ, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა იგი მაშინ, როცა თვალწინ მოულოდნელად წარმოუდგა შეიარაღებული. გული თრთოდა, სისხლი ჩვეულებრივად აღარ მოძრაობდა. ყველას, ქალსა და კაცს, სული განაბული ჰქონდა, ეგონათ, აი ან ეხლა ან ეხლა აასრულებენ თავადები თავიანთ განზრახვასაო. გლეხობას ჰგონია, რომ ეს რაზმი მათ საწინააღმდეგოთ არის შემდგარი და შეიარაღებული; ხსენებულმა შიკრიკმა, დავით წერეთელმა აიარჩაიარა სოფელში, ეხვეწებოდა ყველას, ვინც კი შეხვდებოდა, მოირბინდით და გაიცანით ჩვენი „პროგრამმაო", მაგრამ მისმა ვედრება-დადებამ ვერ გასჭრა—არც ერთი გლეხი არ წავიდა კრებაზე დასასწრებლად. რაკი ხალხი არ მივიდა, რაზმიც დიდხანს არ დარჩენილა სოფ. ნიქოზში—ასე ორი საათის შემდეგ შესხდნენ თავიანთ მერნებზე, ბაირაღით და თავისებურის „არალალე-თარალალის" მღერით გაემგზავრნენ ს. თამარაშენისკენ, სადაც მათ ელოდა გემრიელი სადილი. მეორე დღეს, რაზმს ჩამოშორებოდა ცხრა შეიარაღებული კაცი, ნაშუადღევის ექვსი საათი იქნებოდა, რომ ეს ცხრანი ბრუნდებოდნენ თავიანთ ბინაზედ. გზაზედ მათ შეხვდათ, სოფ. ცხინვალიდან მომავალი, სოფლის მასწავლებელი ბაგრატ ლაზარაშვილი და ჩემი შვილი, გიმნაზიის მეხუთე კლასის მოსწავლე. ერთს ამ ცხრათაგანს, ა-ნ წერეთელს, დანახვისათანავე „ქკამანდნა" ჯერ თავის ამხანაგებისთვის—შეჩერდითო, და მერე მრისხანედ შეუტია გზაზედ მომავალის მასწავლებლისა და მოსწავლესთვის, თქვენც გიბძანებთ შეჩერდითო. ეს უკანასკნელნიც დამორჩილებოდნენ ბრძანებას. ცხრა შეიარაღებული თავადი გარს შემორტყმოდა ამ ორ ახალგაზდა უმაწვილს, როგორც ავაზაკებს. ბ-ნ წერეთელს, როგორც მათ მცნობს, ჯერ ორივენი მოეკითხა, ჩემის შვილისთვის ხელი ჩამოერთმია და მერე უცბად, ანაზდეულად დაეშინა მათრახი და ეთქვა: თქვენ ორივენი რეებს მიჭყარავთ ჩვენს რაზმზედაო. წინა დღეს, როცა ეს ვაჟბატონი უწოდებდა ხალხს კრებაზე დასასწრებლად, ჩემი შვილი ხმა მაღლა კითხულობდა გაზეთ „ცნობის ფურცლის" მე-2823 ნომერში მოთავსებულს კორესპონდენციას თავად-აზნაურთა მილიციის შესახებ. ბ-ნმა წერეთელმა ეს კითხვა გაიგონა, უთუოდ შეურაცხყოფად მიიღო და ამიტომაც მეორე დღეს დანახვისათანავე გაახსენდა იგი. ამაზედ კარგს და მოხერხებულ დროს როდისღა შეხვდებოდა: ჩაიგდო ხელში ეს ორი უმაწვილი განცალკევებული და თავისი განზრახვაც სისრულეში მოიყვანა. განა გაზეთის კითხვას მათრახი უნდა მოჰყვეს!? მეორე უმაწვილს მასწავლებელს ბ-ნმა წერეთელმა ხელი არ ახლო, მხოლოდ უბძანა: შენთვის მიპატიებია, რადგან ჩემი მეზობელი ხარო, თითქოს ჩემი შვილი მისი მეზობელი არ ყოფილიყოს! მასწავლებელი მეზობლობამ კი არ იხსნა, მას თავის წოდებამ უშველა. იგი გლეხთაგანია და აი სწორედ ამისათვის ვერაფერი ვერ შებედა თავ. წერეთელმა. კარგად იცოდა, რომ მის გამათრახებას შემაძრწუნებელი შედეგი მოჰყვებოდა, რადგან გლეხები ამ შეურაცხყოფას არას გზით არ მოითმენდნენ. ჩემმა შვილმა პატივი სცა ჩემს მოხუცებულებას, ამაგს და მომავალ იმედს და ამიტომაც გაჩერდა თავის ჯალათის წინაშე ხმის ამოუღებლად. მას რომ პასუხი გაეცა თავის ჯალათისთვის, უთუოდ გაისრისებოდა მართლა და „შავი" რაზმის შეიარაღებულ წევრთაგან და მით ბოლო მოეღებოდა ჩემს მომავალ იმედს. განა ასეთი უსამართლობა იქნება? რა ნება აქვთ თავად-აზნაურთ შეღახონ ვისიმე პიროვნება? მერე ისეთ თავად-აზნაურთ, რომელთაც სარდლობს და მფარველობს მაღალ სასწავლებელში სამჯერ კურს დამთავრებული პირი (ასე უწოდებენ თავიანთ სარდალს თვით თავად-აზნაურნი).

მივმართავ გორის მაზრის თავად-აზნაურთა რაზმის წინამძღოლს ბ-ნ აბდუშელიშვილს და ვსთხოვ მაცნობოს მიზეზი ჩემის შვილის ასე შეურაცხყოფისა და მით დაამშვიდოს ჩემი და ჩემი შვილის აღელვებული გული. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ შევიტყო—იქნება ჩემმა შვილმა სამართლიანად დაიმსახურა ეს შეურაცხყოფა. ამ ნაირი ამბები და ამაზედ უფრო მეტიც შეიძლება სხვა სოფლებშიაც მოხდა და კიდევაც მოხდეს.

მღვდელი იოსებ კაპანაძე

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
30 მაისი.

ვაშინგტონი, 30 მაისი („რეიტ."). ოფიციალურად იუწყებიან, გრაფმა კასინიმ ინახულა პრეზიდენტი, რათა აუწყოს მას, რომ რუსეთი თანახმაა მისს წინადადებაზე; რუსეთი დანიშნავს რწმუნებულთ იაპონიასთან ზავის ჩამოგდებაზე მოსალაპარაკებლათ, მხოლოდ ამ ჟამად უნდა ამოირჩიონ ადგილი მოლაპარაკებისთვის.

სტამბოლი, 30 მაისი. გუშინ სტამბოლი საშინელ ციკლონს ქვეშ იყო; ქარმა აუარებელი ზარალი მოიტანა, დაზიანდა გემებიც ზღვაში. არ იციან, რამდენი კაცია დაღუპული. სულთანმა დამხმარებელი კომიტეტი დააარსა. დღეს დილით მტრედის კვერცხის ოდენა სეტყვა მოვიდა, რომელმაც დიდი ზარალი მისცა.

პეტერბურგი, 30 მაისი. კურსკის სახაზინო პალატის მმართველი ჟუნკოვსკი დაინიშნა ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლად კავკასიის მთავარმართებლის საბჭოში.

ვლადიმირი, 30 მაისი. სახელმწიფო საქმეების მოწყესრიგების შესახებ ამორჩეულმა კომისიამ მოხსენება შეიტანა საბჭოში ხალხის წარმომადგენელთა დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ.

ბერდიანსკი, 30 მაისი. გუშინ სახალხო სიფხიზლის სამზრუნველოს თეატრში ვიღაცამ სიტყვა წარმოსთქვა და გაჰკიცხა დრო ტარება მაშინ, როდესაც ომში ათასობით იხოცება ჩვენი ძმებიო. ხალხი თავ-ზარდაცემული გარბოდა

ოდესა, 30 მაისი. გაიფიცნენ ტელეფონისტკები.

პეტერბურგი, 30 მაისი. ოფიციალური. სამხედრო ბეგრის საქმეების სამმართველოსაგან. დღემდე მომხდარ კერძო მობილიზაციის დროს ბევრმა გაწვეულმა ჯარის კაცმა ვერ დაამტკიცა, რამდენი სული ჰყავს შინ სარჩენი და ამიტომ ისინი არ გაანთავისუფლეს და წაიყვანეს ჯარში. რადგანაც შესაძლებელია მოველოდეთ ახალ მობილიზაციებს იმისდა მიხედვით, თუ როგორ წავა სამხედრო მოქმედებანი, ამიტომ საჭიროა, რომ იმ სათადარიგო ჯარის კაცებმა, რომელნიც ერთად-ერთი მარჩენალი არიან დიდის ოჯახებისა, ყოველთვის იქონიონ თავისთან საჭირო მოწმობა იმის შესახებ, თუ რამდენს სულს არჩენს იგი.

პეტერბურგი, 30 მაისი. ოდესის სამხედრო ოლქის ინჟინერთა უფროსი სუკინი დაინიშნა მთავარ საინჟინერო სამმართველოს უფროსის თანაშემწედ.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
31 მაისი

ტოკიო, 30 მაისი. ოფიციალური. იაპონიის კავალერიამ შეავიწროვა რუსეთის კავალერია და დაიჭირა სიინტაუ და სიპინფანი, სიაპიტანის მაღლობის ჩრდილოეთით. რუსები დამარცხდნენ აგრეთვე სლაოჩენზისა და კიაოჩინკაოპენის ახლოს. ეს ადგილები ყველა მონგოლიის საზღვრებთანაა კანპინსა და ჩენშიატუნის შორის.

გუნჩჟულინი, 31 მაისი. გენ. სილვესტრი, საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსი სტოვებს ომის ასპარეზს.

ბელგრადი, 30 მაისი. პროგრესისტების მიტინგზე ნოვაკოვიჩმა გააცნო პარტიის პროგრამმა მომავალ არჩევნებისთვის და მოითხოვა, გადახედულ იქნას კონსტიტუცია, რადგანაც ეს ერთად ერთი საშვალებაა ჩვენში უთანხმოების მოსპობისა, გარეშე პოლიტიკის ჯეროვნულად წაყვანისა და ბალკანეთის კუნძულის სლავიანების ერთა შორის სოლიდარობის დამყარებისთვისო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ვ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 24 მაისს 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,80
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები.	94,85
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე	37,67½
ბირჟის დისკონტი	5½ 6¾%
4% სახელმწიფო რენტა	83¾
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	376
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	286½
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	255
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
5½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	191½

მისვლა რკინის გზის მატარებლებისა 18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № (20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.) 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ., (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღ. 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.) 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპნამდე: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერ-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში, ღია არის დილით 10—2 საათ
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3 ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—8 „

განცხადებანი

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია **„ცოდნა"** გამოცემა

სამშობლოსათვის თავდადებულნი	40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში	20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა	20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი	10
იაპონია ნ. ნიკოლაძისა	20

დარბაზის კედლებად მოსართავი სურათები:

შოთა რუსთაველისა დიდი 50 კ. აკაკისა 40 კ. ილია ჭავჭავაძისა 40 კ. რაფიელ ერისთავისა 40 კ. ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ. ირაკლი მეფისა 30 კ. ეგნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ. საქართველოს დიდება 1—20 კ. თამარ მეფის დიდი სურათი 1—50 კაპ. პატარა 6 კაპ.

და სხვა უთვალავი წიგნები.

მოსამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა"
სოსიკო მერკვილაძე. (20—3)

ტფილისის ქალაქის
გ ა მ გ ე ო ბ ა

ამით აცხადებს, რომ 4 ივნისისთვის დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** მე-10 საპოლიციო უბანში, ტფილისის დამოჯნის მახლობლად, 726,3 ოთხკუთხ საჟენ ქალაქის მიწის გასაცემად. ეს მიწა გაიცემა შეშის, ხე-ტყის და საქონლის საკვების საწყობად.

პირობების გასინჯვა შეიძლება ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 10-დან 2 საათამდე. (3—6—2).

ახლად დაბეჭდილი
სამზარეულო
ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—3)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგიო დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადიდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»
კ ი ო ს კ შ ი

ლორის-მელიქოვის ქუჩა, იქალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონი- შ. კ. შვილისა—პოემა ბაზნაბი.	— 10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—50
ბნელო, მოთხრობა—მელანიასი	— 20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1
II და III ტომი თითო	1 —
ი, ჭავჭავაძის I ტომი	— 70
იგივე II და III ტომი თითო	— 60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	— 80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	— 10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	— 40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	— 60
რაფ. ერისთავის I ტომი	— 60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	— 20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	— 55
სიბრძნე ბალავარისა	— 30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	— 10
დვინის დაცემა, პროფ. გ. პეტრაშვილისა	1 50
რძე, მისივე	1 50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი —გენრიხ სენკევიჩისა	— 80
დასტურ-ლამა	— 20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	— 25
ფიზიოლოგია—ფოსტერის.	— 20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან კ. ყვანცხლოვისა	1 —

Доз. цен. Тифлисъ, 31 Мая 1905 г.

Печ. Груз. Изд. Т-ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—სა